ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 2984
შაბათი,
21 იანვარი

ცნობის ფურცელი

№ 2984
შაბათი,
21 იანვარი

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით, პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ამხ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1906

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქციაში არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-“Моамбе“. ტელეფონი № 372

1906 წელს „ცნობის ფურცელი“ სურათებიანი დამატებით

გამოვა იმავე პროგრამით, ყოველ დღე, გარდა ორშაბათისა და დიდი უქმეების შემდეგ. დაახლოვებით თებერვლის გასულს ან მარტში გაზეთის ფორმატი **გადიდებული** იქნება. ამისათვის გერმანიიდან დაბარებულია განსაკუთრებული მსწრაფლ-მბეჭდავი მანქანა და ქაღალდი. ქაღალდი უკვე მოვიდა, ხოლო მანქანა გზაშია.

ფასი გაზეთისა:

კავკასიაში და რუსეთის ყველა ქალაქებში გაგზავნით **ერთის წლით** 6 მან. **ერთის თვით** 50 კაპ.

საზღვარ-გარედ გაგზავნით **ერთის წლით** 11 მან. **ერთის თვით** 1 მან.

გაზეთის ხელის მომწერთ გაეგზავნებათ სურათებიანი დამატება

დამატებაში, გარდა უცხოეთის და რუსეთის ცხოვრებიდან აღებულ სურათებისა, მოთავსებული იქნება სურათები ადგილობრივ ცხოვრებიდანაც. დამატებაში მონაწილეობას მიიღებენ, გარდა მუდმივ თანამშრომლისა მხატვარი ოსკარ შმერლინგისა და გოგიაშვილისა, მხატვრები გრინევსკი, ბერიძე და როტტერი.

„ცნობის ფურცლის“ წლიურ ხელისმომწერთ ერთის მანეთის დამატებით გაეგზავნებათ იუმორისტული ჟურნალი „ნაპერწკალი“.

ადრესი: Тифлисъ, редакція „Цнобисъ Пурцели“.

„ნაპერწკალი“

სახუმარო კარიკატურებიანი ჟურნალი.

გამოვა კვირაში ერთხელ, კვირაობით, 4—8 გვერდი. კარრიკატურები დაიბეჭდება **ფერადის წამლებით.** ჟურნალში გარდა მუდმივ თანამშრომლისა მხატვარ ოსკარ შმერლინგისა, თანამშრომლებად მოწვეულნი არიან და მიიღებენ მონაწილეობას მხატვრები—გრინევსკი და როტტერი.

ფასი ჟურნალისა წლიწადში 4 მან., თვეში 40 კაპ., ცალკე ნომერი 8 კაპ.

„ცნობის ფურცლის“ მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ „ნაპერწკალი“ გაეგზავნებათ ერთის მანეთის დამატებით, ე. ი. გაზეთის ხელის მომწერნი წლიურ ექვსი მანეთის მაგივრად შვიდ მანეთს გადიხდიან.

„ნაპერწკლის“ წლიურ ხელის მომწერთ 3 მან. დამატებით გაეგზავნებათ გაზეთი „ცნობის ფურცელიც“.

რედაქციის კანტორის ადრესი: ვანქის დიდი ქუჩა, ქართ. ამხ. სადგომში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція „Наперцкали“.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი.**

ტფილისის სახაზინო თეატრი

კვირას, 22 იანვარს 1906 წ., რუსულ ოპერის ამხანაგობის მიერ ქართულ მუსიკის მოყვარულთა დახმარებით

პირველად ქართულს ენაზედ წარმოდგენილი იქნება:

დემონი

ოპერა, 3 მოქმ. 6 სურ. მუს. ა. რუბინშტეინისა. თარგ. ბ-ნ გუნიასი და კარგარეთლისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ძნელაძისა, ავალოვისა, ლოვინასი; ბ-ნნი: აგასოვი, გედევანიშვილი, სიდამონიძე, დრაკული და კარგარეთელი.

წარმოდგენის დასაწყისი შუადღის 12 საათზედ.

ბილეთები იყიდება თეატრის კასსაში. ფასი ჩვეულებრივია.

დაწვრილებით აფიშა—პროგრამაში (3—1)

ივლიტა გრიგოლის ასული, დავით დიმიტრის ძე და გრიგოლ დავითის ძე ხირსელნი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 22 იანვარს, 12 საათზე, ქვაშვეთის ეკკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულ

ილია ხირსელის

სულის მოსახსენებლად. (2—უ.—1)

სოფიო დავითის ასული ხირსელი აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ უდროოდ გადაცვალებულ

ილიკო ხირსელის

სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნება პანაშვიდი კვირას, 22 იანვარს, 12 საათზე, ქვაშვეთის ეკკლესიაში. (2—უ.—1)

მანთაშევის ქარვასლა

დახურულ ბაზრის მახლობლად

რკინეულობის სავაჭრო

დავით ისაის ძის არაქელოვისა.

ვაცხადებ პატივცემულ საზოგადოების და ჩემის მუშტრების,—როგორც ტფილისის, ისე ქალაქ გარედ მცხოვრებთა,—საყურადღებოდ, რომ ჩემი მაღაზიები, რომლებიც მაიდანსა და იარმუკაზეა, 1905 წლის 22 ნოემბრიდან გადავიტანე ახალ ერთ და დიდ სადგომში დახურულ ბაზართან, მანთაშევის ქარვასლაში. ამიტომ ყოველივე ანგარიშების გასწორება ჩემ მუშტართან მოხდება ჩემს კანტორაში ახალს მაღაზიაში. ამასთან იმედი მაქვს, რომ ყველანი, ვინც-კი ჩემგან ყიდულობენ, ყურადღებას მიაქცევენ ჩემს ახალ ვაჭრობას.

(3—13—3) პატივისცემით **დ. ი. არაქელოვი.**

საბჭო

ტფილისის დედათა საეპარქიო სასწავლებლისა

აუწყებს მოსწავლეთა მშობლებს, რომ უკანასკნელი ვადა სწავლის და პანსიონში შესანახ ფულის შეტანისა არის ამა წლის 25 იანვარი. ვინც ამ დროსთვის ფულს არ შემოიტანს, დათხოვნილი იქნება სასწავლებლიდან და იმის მაგიერ სხვა იქნება მიღებული. (3—6.—3)

ა. პ. შულგინა-მესხი

გაკვეთილები საოპერო სიმღერისა, ამზადებს ქართულ ოპერებისთვის და აგრეთვე პრაქტიკული და თეორეტიული გაკვეთილები ფრანგულ, გერმანულ და იტალიურ ენებისა. ვერის დაღმართი № 1 (თვ.)

მედიცინის დოქტორი

მ. ი. მურადოვი

ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტისა, იღებს სპეციალურად საშარდეს, სიფილისის და კანის სნეულებებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე 10 დან—11-მდე და 5-დან 7 საათამდე, რტიშჩევსკის ქ., ს. № 1. ცეცხლის საქრობ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი 711. (51—368—46)

სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

ტფილისში

მუდმივის საწოლებით, ელისავეტინსკის ქუჩა, 101, ტელ. 1026.

მიიღებიან გარედან მოსიარულე ავადმყოფნი

მ. მ. ალაჯალოვი. 11—12 ს. შარდისა, ვენერიულ, სიფილისის და ნაწლევების ავადმყოფობანი.

ი. ნ. ეზიაზაროვი. 11—12 ს. ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი ელექტრონით წამლობა.

პ. ნ. დემიდოვი. 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.

მ. ა. ტატევოსოვი. 12—1 ს. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობანი.

ი. მ. აველისოვი. 12—1 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.

მ. პ. კიმონტი. 1—2 ს. სადოსტაქრო ავადმყოფობანი.

მ. რ. ელჩიევი. 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.

პ. ა. ზეიერი. 1—2 ს. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

სამკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით. სასტაციონერო განყოფილება შეიცავს საზოგადო პალატას და ცალკე ოთახებს. (150—42)

ექიმი

გ. ა. გედალინი

მადათოვის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღის ეკკლესიის პირდაპირ.

ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვერენიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილის 8-დან 9 საათამდე, საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (31—5.—18)

კბილის ექიმმა

ი. ზ. კანდელაკმა

განაახლა კბილის ავადმყოფთა მიღება. სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს. ავადმყოფებს იღებს 9—2 და 4—7 ს. მიხაილოვის პროსპექტი, მატინოვის სახლი № 32. ძველ ბინის გვერდზე.

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით ყოველ დღე 9—11½ ს. საღამ. უქმეებს გარდა 6—7 ს. კუთხე კიროჩნის და დიდი-მთავრის ქუჩისა № 12, სახლი სვანიშვილისა.

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთ 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე) საკუთარი სახლი № 20. ტელეფონი 791.

ავადმყოფთათვის არის ერთი კრაოტი.

ექიმი

მ. პ. გაზირბანოვი

სიმონოვის ქუჩა № 7. მიიღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7½ საათ (თვ.—25)

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 6—7-მდე, გარდა კვირა საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი, ფოსტის პირდაპირ № 8. (წლ.)

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ავადმყოფებს იღებს: დილის 9—2-მდის და საღამოს 5—7-მდისს კვირა-უქმეებით 10—1-მდის.

ექიმი

პ. ა. არდაზიანი

იღებს ბავშვებს და შინაგან ავადმყოფებს დილის 8—9 ს., საღამოს 4—7 ს. **ს** წმოჩს ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევა (2—17)

ტფილისი, 21 იანვარი.

სახელმწიფო სათათბირო. როგორც მკითხველმაც იცის, სახელმწიფო სათათბირო არც ერთ პარტიას არ აკმაყოფილებს. მართალია, „17 ოქტომბრის კავშირი“ და მრეწველთა და ვაჭართა პარტია 17 ოქტომბრის მანიფესტით დაკმაყოფილდნენ, მაგრამ ეს იმიტომ კი არა, რომ ისინი მართლა კმაყოფილი იყვნენ. ამ პარტიების თვისებაა, ყველაფერში მთავრობას კვერი დაუკრან და წინააღმდეგობა არ გაუწიონ, თორემ, როგორც ბოლო დროს გამოირკვა, ვერც ამ პარტიებს აკმაყოფილებს 17 ოქტომბრის მანიფესტი, სახელდობრ ამ მანიფესტით აღიარებული არჩევნების წესები. ეს პარტიებიც საყოველთაო არჩევნებს თხოულობენ და მხოლოდ ამაში ჰხედავენ ხსნას რუსეთისას და მის დამშვიდების საშუალებას. ასე ულაპარაკნია მინისტრთა საბჭოში გრაფ ბობრინსკის, ასე ულაპარაკნია შიპოვს და მგონი სტახოვიჩსაც, ამ სამ მოთავეს „17 ოქტომბრის კავშირისას“. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ძალიან ცხარედ და გულწრფელად ლაპარაკობდნენ საყოველთაო არჩევნებზე ეს პირნი. ეს კი არ ვიცით, რამდენად ცხარედ დაიცავენ ისინი ამ პრინციპს. ასეა თუ ისე, ეს პარტიაც სავსებით არ არის კმაყოფილი 17 ოქტომბრის მანიფესტით.

რაღა ითქმის სხვა, უფრო რადიკალურ და სოციალისტურ პარტიებზე. ესენი დიდხანს ყოყმანობდნენ, მივიღოთ რამე მონაწილეობა სახელმწიფო სათათბიროში, თუ ბოიკოტი გამოვუცხადოთო. ასე ყოყმანობდა დროებით კონსტიტუციონურ-დემოკრატიული პარტიაც. საქმე ამ ბოლო დროს იმით გადასწყდა, რომ ამ პარტიამ საჭიროდ სცნო არჩევნებსა და სათათბიროში მონაწილეობის მიღება, მაგრამ მხოლოდ დრომდის, ვიდრე არ დაინახავს, რომ სათათბირო მხოლოდ იარაღია ბიუროკრატიის ხელში. ასეთ გზას დაადგა, როგორც ეტყობა, სოციალ-დემოკრატიული პარტიაც. მხოლოდ სოციალისტ-რევოლიუციონერები იდგნენ მაგრა თავიანთ პირველ გადაწყვეტილებაზე, რომ არ მივიღოთ არავითარი მონაწილეობა არჩევნებში და სახელმწიფო სათათბიროსთვის ბოიკოტი გამოეცხადებინათ. ასეთი დადგენილება მიიღო გლეხთა კავშირის დელეგატთა კრებამ, რომელიც სოციალისტ-რევოლიუციონერების გავლენის ქვეშ იყო. ამ სამ პარტიიდან ოფიციალური გადაწყვეტილება მხოლოდ ერთმა გამოაცხადა: კონსტიტუციონურ-დემოკრატიულმა პარტიამ. სოციალისტური პარტიები კი ჯერ არაფერს აცხადებენ, რადგან პარტიულ კრების გამართვა მათთვის ეხლა შეუძლებელია. თქმა არ უნდა, აქ ჟამად სხვა და სხვა ქალაქის კომიტეტები ცუდ მდგომარეობაში იქნებიან ჩავარდნილნი. პარტიის გადაწყვეტილება არ იციან, არჩევნები კი უკვე დაიწყო. რა ტაქტიკას დაადგნენ: ბოიკოტი გამოუცხადონ სათათბიროს, თუ არჩევნებს ხელი შეუწყონ?

მაგრამ მდგომარეობა არც ისე ცუდია, როგორც პირველის შეხედვით სჩანს. ბოიკოტის საქმე გადაწყვეტილია ყველასათვის: მთავრობამ თვითონ გამოაცხადა სახელმწიფო სათათბიროს ბოიკოტი. რა არის ამისი მიზეზი, ეს სულ სხვა კითხვაა. ბოროტი ენები ასე ლაპარაკობენ (ეს ჩვენ გაზეთშიაც იყო მოყვანილი), მინისტრებს ეშინიანთ, რომ სათათბირო სამართალში მიგვცემს უაზრო რეპრესსიებისათვისაო. მაგრამ საქმე ეს არ არის. საყურადღებო ის არის, რომ ბოიკოტი უკვე გამოცხადებულია. თუ გახსოვთ, 1905 წლის 18 თებერვლის მანიფესტის შემდეგ სათათბიროს შეკრებას ივნისისათვის ელოდნენ. მერე ივნისიდან მგონი ივლისისათვის გადაიდო. მერე ხმა იყო, რომ სახელმწიფო სათათბირო ოქტომბრის ნახევარში შეიკრიბებაო, ხოლო როცა სახელმწიფო სათათბიროს შესახებ დებულება გამოცხადდა, სთქვეს, რომ 1906 წლის იანვარშიო. ამის შემდეგ ბევრი მღელვარება ნახა რუსეთმა და სახელმწიფო სათათბიროს შეკრების ვადაც დაგვშორდა. გარბის ეს სათათბირო, როგორც ოცნება, მივდევთ უკან და ვერ ვეწევით. როგორც გეხსომებათ, იანვრიდან სათათბიროს შეკრების ვადა თებერვლისათვის გადაიდო, მერე რეპრესსიების შემდეგ, დეპეშა იყო, რომ მარტის 15-დის არ შეიკრიბება სათათბიროო. იყო კიდევ ცნობა, ვიტტემა სთქვა, რომ აპრილამდის არ შეიკრიბება სათათბიროო. ეხლა ამ ბოლო დროს კიდევ გაზეთებმა გვაუწყეს, რომ მინისტრები ფიქრობენ, სახელმწიფო სათათბირო შეიკრიბოს არა უადრეს პირველ მაისისაო.

ეს კიდევ არაფერი. გაზეთებივე გადმოგვცემენ, ზოგი მინისტრი იმ აზრისაა, რომ სათათბიროს შეკრების საქმე ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილიო. როგორ მოგწონთ, მკითხველო, ეს ამბავი? განა, რომ კარგი ხუმრობაა! რაღა თქმა უნდა, თუ საქმე ასე წავიდა, პარტიებს თავის მტვრევა აღარ დასჭირდებათ იმის გადასაწყვეტად, გამოუცხადონ თუ არა სათათბიროს ბოიკოტი. „ნუ სწუხდებით, ეს საკითხი თავისთავად გადასწყდება, სახელმწიფო სათათბირო არ შეიკრიბებაო“...-აი ის პასუხი, რომელსაც ამ ერთის წლის ისტორია გვაძლევს. „მერე ის მოლოდინი, ის ღელვა და ის გულის ხეთქა, რაც აქამდის სათათბიროსთვის გამოვიარეთ?“ იტყვის მკითხველი. „ეგ ყველაფერი ფუჭიაო“,— მოგვიგდო პასუხი.

* * *

შიმშილი და მოძრაობა გლეხებში. ჩვენს მკითხველს, უეჭველია, ეცოდინება, რომ წელს რუსეთში მოუსავლობისა გამო 23 გუბერნია იმშევა. წელს შიმშილი განსაკუთრებითი საგრძნობელია იმიტომ, რომ მთავრობა საკმაო დახმარებას ვერ უჩენს დამშეულებს. ჯერ რუსეთ-იაპონიის ომმა და შემდეგ სარევოლიუციო მოძრაობამ ისე ძლიერ დასცა რუსეთის ფინანსები, ისე დააუძლურა სახელმწიფო ხაზინა, რომ მთავრობისაგან არც კი ვინმე ელის წელს თვალსაჩინო დახმარებას. ცნობილ პუბლიცისტის პეშეხონოვის ანგარიშით დამშეულების დასაკმაყოფილებლად ერთი მილიარდი მანეთია საჭირო, მთავრობამ კი მხოლოდ 25 მილიონი გადასდო ამ საჭიროებისთვის.

სარევოლიუციო აზრების გავრცელებას ხალხში ისე არაფერი უწყობს ხელს, როგორც შიმშილი. ეს ისტორიულად დამტკიცებული ფაქტია. შიმშილის პირდაპირი მიზეზი თუ მოუსავლობაა, იმისი ძირითადი მიზეზი პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრების მოუწყობლობაა. ვიდრე გლეხი მაძღარია, ის შედარებით გულგრილად უცქერის პოლიტიკურ უსწორ-მასწორობას და ჩვეულებრივ ვერც კი ჰხედავს მას, მაგრამ როდესაც შიმშილი შეაწუხებს, მაშინ თითქო გონების თვალი ეხსნება და უეცრივ იგონებს თავის უიღბლობის მიზეზებს. გარდა ამისა, დამშეულს სულ ერთია ცხოვრება არავითარ მხიარულებას არ უქადის და ამიტომ ის ადვილად ჰხდება მედგარ და შეუპოვარ რევოლიუციონერად.

ამ მიზეზების გამო მთელი რუსეთი, როგორც ოფიციალური, ისე რევოლიუციონური, გაზაფხულზე ძლიერს აგრარულს მოძრაობას მოელის. ბიუროკრატიამ კარგად იცის, რა საშინელი სამოქალაქო ომი უნდა დაიწყოს გლეხობამ, როცა მიწების დახვნის დრო დადგება და ამიტომ კაი ხანია იგი თავის ჩვეულებრივ ღონისძიებას ხმარობს მომავალი მოძრაობის წინასწარ ჩასაქრობად. ჯერ ისევ მაშინ დაიგზავნა დამშეულ გუბერნიებში განსაკუთრებულ უფლებებით აღჭურვილი გენერალ-გუბერნატორები, რომელნიც სასტიკი ზომებით აიძულებდნენ გლეხობას, სრული მორჩილება გამოეცხადებინათ და სამუდამოდ ამოეღოთ გულიდამ აზრი აგრარულ მოძრაობის შესახებ. სარატოვის გუბერნიაში, მაგალითად, გლეხებს სოფელ-სოფელ უყრიდნენ თავს, ირგვლივ ყაზახებს და ჯარებს ახვევდნენ და ემუქრებოდნენ, თუ ეხლავე სრულ მორჩილებას არ გამოაცხადებთ, აქედამ არავის ცოცხალს არ გაგიშვებთო. შიშით შეპყრობილი გლეხობა მუხლს იდრეკდა, მორჩილებას აცხადებდა და ფიცსა სდებდა, მაგრამ შიმშილი მაინც თავისას არ იშლის და ეხლა იმავ სარატოვის გუბერნიაში უკვე ღრმა აგრარული მოძრაობა იწყება.

„სარატოვის გუბერნიის ერთ-ერთის სამაზრო საერობო საბჭოს თავმჯდომარე, გრაფი ორლოვ-დენისოვი, მოწოდებით მიჰმართავს გულ შემატკივართ დახმარებისთვის და მოწოდებაში სწერს:

სარატოვის გუბერნია დაიმშა! მიწის მუშათა მდგომარეობა—აუტანელია. შენახული არაფერი გააჩნიათ. პაწია ხელფასი დადნა. შეშა არ არის. პურის ქაჯანება გაქრა. საქონელს ჰყიდიან თითქმის მუქთ ფასებში. მაზრის საერობო საბჭო, სოფლის საზოგადოებათა რწმუნებულნი და სხვა პირნი, რომელნიც-კი გლეხებთან დაახლოვებულნი არიან, დარწმუნდნენ, რომ მთავრობისაგან გადადებული თანხა საქონლის გამოსაკვებად და სასადილოების დასაარსებლად სრულებით საკმარისი არ არის“.

ამ უიმედო მდგომარეობას ზედ ერთვის კიდევ ერთი გარემოება. დამშეულებისთვის დახმარების მომწყობნი,—უმთავრესად რუსეთის ინტელიგენტ წრეების ხალხია, რომელსაც მთავრობა რევოლიუციის მეთაურებად სთვლის და სდევნის. ამის გამო უკანასკნელ ხანებში ხალხის გამოკვების საქმეს მრავალი ერთგული და თავგანწირული მუშაკი მოაკლდა. დაჭერილები და ციხეში დამწყვდეულები არიან ისეთებიც, რომელთაც თითქმის მთელი თავისი ქონება ხალხის გამოსაკვებად გადასდეს და პირადის ენერგიის წყალობით საკმაოდ ბლომა ფული მოაგროვეს სხვებისაგან. ეს იმდენად თვალსაჩინო ზიანია ხალხის გამოკვების საქმისთვის, რომ ზოგი მთავრობისაგან დანიშნული პირი ამ საქმის გასაძღოლად პირდაპირ აცხადებს: თუ პოლიტიკური არესტები გაგრძელდა, იძულებული ვიქნებით ჩვენს თანამდებობას თავი დავანებოთო. ასეთი განცხადება მიუცია, მაგ., ტულის გუბერნიის საერობო მოღვაწეს თავადს გ. ელვოვს, როგორც გაზეთი „მოლვა“ მოგვითხრობს.

შიმშილისაგან ალაპარაკებულ და პოლიტიკურ მოძრაობის სარბიელზე გამოსულ გლეხობას, ბიუროკრატიამ რამდენიმე თვის წინად წინ გადაუღობა ცეცხლისა და მახვილის მუქარა. გლეხობა შედრკა, მაგრამ, როგორც ეხლა ირკვევა, ეს გაჩუმება დროებითი ყოფილა, რადგან შიმშილს უფრო მეტი ძალა ჰქონია, ვიდრე ხმლისა და ტყვიისმტყორცნელს. სარატოვის გუბერნიიდან ტელეგრაფით ატყობინებენ გაზეთს „ვეჩერნი გოლოსს“:

მიმწყდარი მოძრაობა გლეხებისა ეხლა ხელ-ახლა იზრდება. სერდობის მაზრაში რამდენიმე მემამულეს გადასწვეს. ნოვოუზენის მაზრაში მოძრაობის ჩასაქრობად გაგზავნილი ყაზახები გლეხებმა შეიპყრეს და სასტიკად სცემეს. არავითარ გადასახადს და ბეგარას არ იხდიან.

ამ გვარსავე ცნობებს იუწყებიან ხარკოვის, კურსკის და სხვა გუბერნიებიდან. რუსეთის ლიბერალური გაზეთები გულწრფელად სწუხან დამშეულების უიმედო მდგომარეობის გამო, მაგრამ ვერაფერი საჭირო ვერ უფიქრიათ და ნაღვლიანის კილოთი კითხულობენ:

„მაშ, რა ვქნათ? ნუ თუ თავი უნდა მივანებოთ ყოველს მზრუნველობას და ხალხი შიმშილისა და სიკვდილის ხელში ჩავაგდოთ?“ („რუსსკია ვედომოსტი“).

ლიბერალები საშველს ვერსად ვერა ჰხედავენ, მაგრამ თითონ გლეხობას კი ჯერ საბოლოოდ არ დაუკარგავს იმედი. გლეხობა ლიბერალებს არა სთხოვს გზის ჩვენებას, ის თითონ გაიკვლევს გზას.

* * *

შორაპნის მაზრაში

(საკუთარის კორესპონდენტებისაგან)

(დასასრული *)

16 იანვარს საათის ათი იქნებოდა, რომ 35 სოფლის მცხოვრებთ დაიწყეს დ. ქვათურაში თავის მოყრა. სოფ. ჭილოვნის და წისოფლის მცხოვრებთა პროცესიამ ყველას ყურადღება მიაქცია, რადგან მათ, მღვდ. გ. ტყემალაძის წინამძღოლობით, საეკლესიო ბაირაღები მიჰქონდათ. ამ პროცესიამ დანარჩენი შეკრებილი მღვდლები ჩააფიქრა, ვაი თუ ასეთი ბაირაღებითა და სამღვდელო

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 2983.

შესამოსით მოსვლა სავალდებულო იყოსო. მაგრამ მალე დამშვიდდნენ, რადგან გაიგეს, რომ ეს მარტო იმ ერთის მღვდლის საქმე იყო.

ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილ ხალხს თვალყურს ვადევნებდი. იმასაც ვაქცევდი ყურადღებას, თუ ვინ როგორ ანუგეშებდა სისხლისაგან გამშრალ ხალხს. ერთ ჯგუფში ერთი ინტელიგენტი ჩარეულიყო და მსმენელთ ანუგეშებდა შემდეგის სიტყვებით: „თუ საჩქაროდ თანხმობა არ გამოვუცხადეთ ალიხანოვს, არ დავაკმაყოფილეთ იმისი მოთხოვნილებანი და მსწრაფლ დეპუტაცია არ გავგზავნეთ, განზრახვა აქვს მთავრობას ჯარი ირგვლივ შემოარტყას ქიათურას და ისე ამოგვხოცოსო“.

12 საათზე ბოქაულის პირველ მოწოდებისთანავე ხალხი შეიკრიბა ქიათურის სადგურის წინ. ბოქაული ავიდა სკამზე და კრებას განუცხადა: აი ამ მოთხოვნილებას წაგიკითხავ მე რუსულ ენაზე და თქვენ კი თარჯიმანი ამოირჩიეთო. ზოგიერთებმა დაიძახა პლატონ ჯაფარიძეო.

კრება შეუდგა პირველ წერილში მოთავსებულ მოთხოვნილებათა გარჩევას. ამ დროს პოლიციელთაგან არავინ იყო, გარდა ერთის ჟანდარმისა, რომელიც დიდ აქტიურ მონაწილეობას არ იღებდა. თარჯიმანმა გადათარგმნა მოთხოვნილებანი. მოისმინეს, ყველამ დაადგინა: „თუმცა ჩვენ თავს დამნაშავედ არა ვცნობთ გადავიხადოთ ის, რაც შემოგვაწერეს, მაგრამ გათვალისწინებული გვაქვს რა არსებული სასტიკი რეპრესიები, ვითხოვთ სადაც ჯერ არს პირადად და წერილობითაც გვაძლიონ ხუთი-ექვსი თვე, რომ შეგვეძლოს გავიდეთ საძუშაოდ დაკისრებულ მოვალეობის შესასრულებლადო“. ამ აზრს ყველანი სიტყვიერად დაეთანხმენ. როდესაც თვითეულ სოფლიდან ამოირჩიეს ოთხ-ოთხი და ხუთ-ხუთი დეპუტატი და საქმე საქმეზე მიდგა, ზოგიერთებმა თავად-აზნაურობიდან და სამღვდელოებიდან იწყეს განაჩენის წერა, რომელშიაც სულ არ მოიხსენიეს გადასახდელ ვადის გადადება. ბოქაულ ილიკო წერეთლის, მღვდლის გიორ. ტყემალაძის და პლატონ ჯაფარიძის თაოსნობით შეიმუშავეს შემდეგის შინაარსის განაჩენი: „ყველა წოდების დადგენილება 1906 წლის იანვრის 15 დღეს. ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი, სოფლის ყველა წოდების მცხოვრებნი, ვიყავით მოწვეულნი დ. ქიათურაში ადგილობრივ ბოქაულის ილ. წერეთლის თაოსნობით და 11 იანვარს გვემცნო მთა- [illegible] მუხლები სავსებით მივიღეთ. პირადად თქვენს აღმატებულებასთან მოსალაპარაკებლად ვირჩევთ დეპუტატებს“. ამ დადგენილების წერის დროს ერთმა ყმაწვილმა მოითხოვა, შეეტანათ განაჩენში ვადის გადადებაც. „მეთაურთ“ არ შეიწყნარეს. როდესაც ყმაწვილმა მეორედ მოითხოვა ხუთის თვით გადაიდოს ფულის გადახდის ვადა, ასტყდა ერთი აურ-ზაური. მღვდლებმა სახელდობრ დეკანოზმა იოსებ წერეთელმა და მღ. გიორგი ტყემალაძემ, აუმაღლეს ხმა და მოითხოვეს გენ. ალიხანოვის მოწვევა. ამის წინააღმდეგ ბოქაულმა ილ. წერეთელმაც-კი გაილაშქრა. ამ ჩოჩქოლის დროს ბოქაულმა განაცხადა: „მე დაბეჩავებულ ხალხის ინტერესებს მუდამ ვიცავ, მაგრამ რა ვქნა, როდესაც მთავრობა გადაჭრით გვკითხავს: გსურთ თუ არა ჩემის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაო. თქვენ უეჭველად ან ჰო უნდა სთქვათ, ან არა. ამას გარდა განაჩენში ვერაფერს ვერ შევიტანო“.

ბოლოს ხალხი იძულებული იყო ეს წინადადება მიეღო.

საღამოს 4 საათი იქნებოდა, გენ. ალიხანოვის დეპეშა მოვიდა: ხელახლად შეჰკრიბეთ ხალხი და განუცხადეთ: ყველა მოქმედება ათის და ასის თავებისა მიპატიებია, ხოლო ამისათვის საჭიროა ეს ათის თავები და ასის თავები ზესტაფონს ჩამოვიდნენ 18 იანვარს და ბოდიში მოიხადონ; ვინც ამას არ შეასრულებს, იგი წინააღმდეგი იქნება მთავრობისაო.

მეორე დღეს, 17 იანვარს, ორი ბოქაული დეპუტაციით გაემგზავრა ალიხანოვთან. დაახლოვებით ამ დეპუტაციაში სამას კაცამდე იქნებოდა. შორაპნამდე რკინის გზით ჩავიდნენ. შორაპანში დეპუტაციამ ზესტაფონიდან მოითხოვა მატარებელი, მაგრამ უარი მიიღო. დეპუტაცია იძულებული გახდა ფეხით გამგზავრებულიყო.

დეპუტაცია იმ რწმენით იყო გამსჭვალული, რომ მას გენ. ალიხანოვი ინახულებდა და რამე ნუგეშს მისცემდა. მაგრამ გაუცრუვდათ ეს იმედი. ამ მრავალ-რიცხოვანმა დეპუტაციამ მიიღო ალიხანოვის ბძანება, თქვენ შორის აარჩიეთ რამდენიმე კაცი და გამოჰგზავნეთ ჩემთან მოსალაპარაკებლადაო. აარჩიეს ორი აზნაური — ილია წერეთელი და მიხეილ მაჭავარიანი და ოთხი გლეხი. როგორც თვითონ ილ. წერეთელმა გადმომცა, მას დაეხასიათებინა გლეხთა დღევანდელი გაჭირვება, ეცნობებინა, რომ გლეხებს არ შეუძლიანთ ისე მოკლე ხანში, როგორიც არის ერთი კვირა, ამდენი ფული გადაიხადონო. გენ. ალიხანოვს ეს არ შეუწყნარებია. თოფების შესახებ გენერალს უთქვამს, თუ თოფები თქვენ ვერ აღმოაჩინეთ, მაშინ ჯარი ჩვენის ბრძანებით დაგეხმარებათ და ისინი აღმოაჩენენო, თუ ლიანდაგის გზა წაახდინა ვინძე, იმ სოფელმა უნდა აგოს პასუხი, რომლის მახლობლადაც იქნება წამხდარი ლიანდაგიო.

ასე გათავდა ამ დეპუტაციის საქმე.

ბ. ტ—ძე.

ახალი ამბავი

ბათუმს დაპატიმრებულნი. 18 იანვარს, საღამოს 5 საათზე, როგორც „კავკ.“-ი გადმოგვცემს, ტფილისზე გაიარა და ნავთლუხისაკენ წავიდა მატარებელი, რომლითაც ჩამოიყვანეს დასავლეთ საქართველოში დაპატიმრებულნი. დაპატიმრებულთა შორის არიან რკინის გზის მოსამსახურენიც. მატარებელი ტფილისის სადგურზე არ გაჩერებულა.

საპატიმროები აივსო. ამ ჟამად ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში საგუბერნიო საპატიმროები სავსეა ხალხით. რადგან ამ საპატიმროებში ადგილი აღარ არის, მთავრობას გადაუწყვეტია დაპატიმრებულნი ყარსის ციხეში გაგზავნოს. დასავლეთ საქართველოდან ჩამოყვანილი 42 კაცი კიდეც გაგზავნეს. მთავრობამ მოსთხოვა კავკასიაში არსებულ საპატიმროების უფროსებს, წარუდგინონ ცნობები, სად არის კიდევ თავისუფალი ადგილები.

დაპატიმრება. ღამით, 19 იანვარს, ნაძალადევში გაჩხრიკეს რამდენიმე სახლი. დააპატიმრეს 10 კაცამდე.

ტრამვაის მოსამსახურეთა სია. ტფ. პოლიცმეისტერმა, თანახმად გენერალ-გუბერნატორის განკარგულებისა, მისწერა ტრამვაის დირექციას, შეადგინოს სია ადრესებით მოსამსახურეთა და წარუდგინოს რაღაც საჭირო საქმისთვის.

ეკზეკუცია. უკვე აღვნიშნეთ, რომ ტფ. მაზრის სოფელ გავევისა და დიდი თიანეთის გზაზე ამას წინად ვიღაც უცნობმა კაცებმა მოჰკლეს 4 პოლიციის დარაჯი. მთავრობის გადაწყვეტილებით, ამ დღეებში აღნიშნულ საზოგადოებებში გაიგზავნება 50 ყაზახი. აღნიშნულ საზოგადოებათ შეეწერათ აგრეთვე 2600 მანეთი.

ყაზახების შესვლა. გუშინ, 20 იანვარს, ჩვენს რედაქციაში იყვნენ სოფ. ლამისყანიდან (გორის მაზრა) და გვიამბეს შემდეგი: 18 იანვარს ჩვენს სოფელში შემოვიდა ოთხმოცი შეიარაღებული ცხენოსანი ყაზახი და პირდაპირ მიადგა აქაურ დიდ მემამულის თავ. ნიკოლოზ დავითის ძის ერისთავის სახლს (პოდპორუჩიკია, ეხლა გამოვიდა სამსახურიდან). ამ ყაზახებს განაგებდა აფიცერი. სახლთან შეჰყარეს მრავალი გლეხ-კაცობა და უთხრეს: „ამ საათში უნდა მოგვცეთ 27 ბერდანის თოფი, რომელიც თქვენა გაქვთ, თორემ ყველას გაგაწყვეტთ. გარდა ამისა ჩვენ ვიცით გვარები იმათი, ვისაც თოფები გაქვთო“. ხალხმა უპასუხა, მართალია, გვქონდა თოფები, სწორედ 27, მაგრამ ეს თოფები წაიღეს ძალის წითელ რაზმის წარმომადგენლებმა, ეხლა აღარც ერთი თოფი აღარა გვაქვს, თორემ მოგცემდითო. ბევრი ვარწმუნეთ, რომ თოფები არა გვაქვს, მაგრამ არ დაგვიჯერესო, გვითხრეს ჩამოსულთ. შემდეგ დაუტუსაღებიათ ხუთი კაცი, სხვები გაქცეულან, ზოგი ქალაში, ზოგიც ახალგორსა, ოძისსა, ოკამში და სხვაგან. ცეცხლი წაეკიდა შვიდ სახლს. გადაიწვა სახლები კოლა ბეინაშვილისა სოლომონა ვინიშვილისა, კოტე ვინიშვილისა ლექსო კოტოლაშვილისა, მიხა მაკიშვილისა და ნიკა სუხოს ბიჭისა. მოკლულ იქნა ასის თავი ბიძო, მეწისქვილე. დაიკარგა მრავალი ქათამი, ბატი, ერთი ხარი და სხვა. იძახიან, არ წავალთ, ვიდრე თოფებს არ გამოიტანთო. ხალხმა არ იცის, რა ქნას, როგორ მისცენ თოფები, როცა არა აქვთ-რა.

სავალდებულო დადგენილებანი. „კავ.“-ში დაბეჭდილია ტფ. გენერალ-გუბერნატორის ბრძანება ვაჭრების მიმართ. ამ ბრძანებაში ნათქვამია, ის ვაჭრები, რომელნიც 10 თებერვლამდე პატენტებს და სავაჭრო მოწმობებს არ აიღებენ, დაისჯებიან ადმინისტრატიულის წესით: ან გადახდებათ ჯარიმა სამას თუმნამდე, ან დაპატიმრებულ იქნებიან სამ თვემდე. მეორე სავალდებულო დადგენილება ეხება მთელ ტფილისის გუბერნიას. ამ დადგენილებით აღკრძალულია ყოველგვარ იარაღის და ასაფეთქებელ ნივთიერების ტარება ან შენახვა.

გენერლის ჩამოსვლა. ტფილისში ჩამოვიდა გენერალ-მაიორი გრამოტინი, რომელიც განსაკუთრებულ უფლებით არის გამოგზავნილი.

კორესპონდენტი. ჩამოვიდა „რუსკი სლოვოს“ სპეციალური კორესპონდენტი და გაემგზავრა ქუთაისის გუბერნიაში.

იარაღის ჩაბარება. გუშინ და გუშინწინ სამხედრო ჰაუპტვახტში დაიწყეს ჩაბარება იარაღისა.

ჯარში გაწვეულნი. გორის მაზრიდან ჯარში გაწვეული იყო 817 კაცი. როგორც მიღებულ ცნობებიდან სჩანს, სამხედრო უფროსთან ჯერ-ჯერობით გამოცხადებულა მხოლოდ 4 კაცი.

ბრძანება. კავკ. უმაღლესმა მთავრობამ უბძანა მაზრის უფროსებს, რომ თუ ჯარში გაწვეულნი არ გამოცხადდებიან დანიშნულ ადგილებში, ძალად მოაგროვეთ და გაგზავნეთ ჯარშიო.

ჯარში გასვლა. ოთხშაბათს, 18 იანვარს, ტფილისის სამაზრო სამხედრო საკრებულოში გამოცხადდნენ ტფილისის ახლო-მახლო მცხოვრებნი, რომელნიც სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. საკრებულომ მაშინვე შეუდგა იმათ შემოწმებას.

მიზეზი. ტფ. ქალაქის სამხედრო საკრებულოს გუბერნატორმა მისწერა, რადგან ქალაქი ტფილისი სამხედრო გენერალ-გუბერნატორს ექვემდებარება, საკრებულომ მას უნდა შეატყობინოს ის მიზეზი, რამაც ხელი შეუშალა ბევრის მოსახდელ ყმაწვილ კაცთა გასვლასო.

ბაქოში. გაზეთ „მშაკს“ ბაქოდან სწერენ: „აქ ცხოვრება მისწყდა. ხალხი ძალზე შეშინებულია. შებინდდება თუ არა, დუქნებ-მაღაზიებს მთლად ჰკეტენ და გარედ ველარავის ნახავთ. ღამ-ღამობით გარდა ყაჩაღებისა პოლიციელები და კაზაკებიც ბევრნი თარეშობენ. ხალხს სცარცვავენ და სჩხრეკენ. ამ რამდენისამე დღის წინად კლუბის წინ მდგომ პოლიციელს ლაპარაკი მოუვიდა მთვრალ ყაზახებთან და ერთი მათგანი მოჰკლა“.

ბორჩალოს ამბები. ამ ბოლო დროს ბორჩალოს მაზრაში ძალიან გახშირდა კაცის კვლა და დაჭრა. აი ამ ცოტა ხანში რა ამბები მომხდარა: 1. სოფ. წერავკაში სასიკვდილოდ დასჭრეს სპარსეთის ქვეშევრდომი იბრაგიმი; 2. სოფ. სადახლოსთან იპოვეს უსულოდგმულო გვამი თათრისა; 3. სოფ. ახტალაში მოჰკლეს თავ. ბარათაშვილის ტყის მცველი ი. ლაზარაშვილი; 4. მოჰკლეს სოფ. ხანტოს მცხოვრები აბრამ გარიბოვი; 5. სად. სადახლოსთან იპოვეს უსულოდგმულო გვამი ყალი-ბაირამ-ოღლისა; 6. მოჰკლეს სოფ. ქალკილისში პავლე ფაველენიშვილი; 7. ოთხი შეიარაღებული კაცი თავს დაესხა აბიბა-ბაბა-ოღლის ცხვარს და წაასხა 633 ცხვარი 738 მანეთისა; 8. სოფ. ფახრალოში იპოვნეს მოკლული გვამი ნაზამ-ბაირამ-ოღლისა; 9. დასჭრეს სოფ. თოლიკულიარის მცხოვრებნი სოიუნ-ფაშა თანგრივერდი-ოღლი და აბას ისმაილ-ოღლი; 10. სოფ. ეკატერინოფელდში იპოვნეს გვამი შიო კლდანაშვილისა; 11. ხუთი შეიარაღებული თათარი თავს დაეცა ვერმიშევის და ტერ-ვართანოვის ცხვარს, წაართვეს მეცხვარეებს თოფები და მოჰკლეს ვერმიშევი და ტერ-ვართანოვი; 12. შეიარაღებული თათართა ბრბო თავს დაესხა ყველის ქარხნის პატრონს იოსებ მინკარდს, დასჭრა სტრაჟნიკი რუსტეინ-ჰისა და გაქურდა ქარხნის ქონება; 12 სოფ. შახნაზარში გაატიალეს ზაქარია არუთინოვის მაღაზია და მოჰკლეს ოჰანეზ ნაზარიანცი; 13. შეიარაღებული სომეხთა ბრბო დაეცა დუსაევის ქარხანას, მოკლა 1 მოსამსახურე, გვარად აბდულ-ახმედ ოღლი, და გაანიავა ქონება.

ოპერა ქართულად. კვირას, დილის 12 საათზე, სახაზინო თეატრში ქართულ ენაზე წარმოდგენილი იქნება ოპერა „დემონი“, მუსიკა რუბინშტეინისა. ეს წარმოდგენა მითაც არის აღსანიშნავი, რომ უმთავრეს როლს ოპერაში „დემონისას“ შეასრულებს ახალგაზრდა მომღერალი ბ-ნი გედევანიშვილი, რომელმაც პეტერბურგის უნივერსიტეტი გაათავა და პეტერბურგშივე მიიღო მუსიკალური განათლება.

კანონის გადათვალიერება. ნამესტნიკის განკარგულებით, იმის კანცელარიასთან შესდგა განსაკუთრებული კომისია,

ფელეტონი

გლეხთა წრეები გალიციაში

გალიცია (ავსტრიის იმპერიის ერთი ნაწილია, იქ ცხოვრობენ პოლონელები და რუსინები ანუ მალორუსები) საქართველოსავით მიწათ-მოქმედი ქვეყანაა; დიდი უმრავლესობა მცხოვრებლებისა სოფლელი გლეხებია, ჩვენებურ გლეხსავით წვრილი მესაკუთრენი (არიან უმიწოწყლო სოფლელი მუშებიც) და თითქმის ქართველ გლეხსავით ღარიბნი. ესაა მხოლოდ, რომ გალიციელი გლეხი კარგა ხანია შედარებით თავისუფალ სახელმწიფოში სცხოვრობს და იქაური მთავრობა ისე ვერ უჭერს მუხრუჭს და ვერ უხუთავს სულს, როგორც რუსის მთავრობა უშვრება ხოლმე თავის ქვეშევრდომებს. მოიხმარეს კიდეც გალიციელებმა თავისუფლება და თანდათან იღვიძებენ და იუმჯობესებენ თავიანთ მდგომარეობას.

1882 წელს გალიციის სატახტო ქალაქ ლვოვში (იგივე ლემბერგი) შეიკრიბა რამდენიმე შეგნებული გალიციელი, გლეხობის გულშემატკივარი და მის კეთილდღეობის მსურველი. ითათბირეს და დაადგინეს ისეთ „საზოგადოების“ დაარსება, რომელსაც უნდა ეზრუნა გალიციელ გლეხების ეკონომიურად შეკავშირებისათვის, გლეხთა წრეების დაარსებისათვის. თანახმად ამ დადგენილებისა შესდგა „გლეხთა წრეების დამაარსებელი საზოგადოება“ და დაუყოვნებლივ შეუდგა განზრახულ საქმის განხორციელებას. საქმე ადვილი არ იყო და მთავარ მის სიძნელეს ის შეადგენდა, რომ გალიციელ გლეხს ჯერ კიდევ არ ესმოდა შეკავშირების, ერთობის ძალა და მნიშვნელობა და თვით საქმის დამწყებთ, ინტელიგენტებს (თავად-აზნაურობის წრიდან იყვნენ ეს დამწყებნი) უნდო თვალით უცქეროდნენ: „ბატონები“ ჩვენთვის სასიკეთო საქმეს არ დაიწყებდნენო. მაგრამ დაუღალავმა შრომამ და გაუტეხელმა ენერგიამ თავისი გაიტანა: პირველ წელსავე 36 პატარა წრე დაარსეს სოფლებში და ათასამდე წევრი შეიძინეს. საქმის დამწყებთა მხნეობისა და შრომის წყალობით გლეხებმა პირველშივე დაინახეს სარგებლობა ასეთ წრეების დაარსებისა და უკვე ათ-თორმეტ წლის განმავლობაში ათასზე მეტი წრე დაარსდა, სადაც სამოცი ათასი წევრი იყო. გლეხთა წრეები მთელ გალიციას მოედო და რაც დრო მიდის, გლეხთა შეკავშირება-შეამხანაგების საქმე უფრო და უფრო ვითარდება.

„გლეხთა წრეების დამაარსებელ საზოგადოების“ საგანია სოფლელების ქონებრივ მდგომარეობის გაუმჯობესება, განათლების გავრცელება მათ შორის და ზნეობის ამაღლება. თუმცა „საზოგადოება“ უფრო გლეხის ქონებრივ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ფიქრობს, მაგრამ ფრიად მნიშვნელოვანია მისი განმანათლებელი მოქმედებაც: თითქმის არ არის არც ერთი ისეთი „საგლეხო წრე“, რომ საკუთარი სამკითხველო და ბიბლიოთეკა არა ჰქონდეს; ბევრგან საზოგადოება საჯარო ლექციებს ჰმართავს და საგანი ამ ლექციებისა არის როგორც მეურნეობა, ისე ჰიგიენა, ისტორია და ლიტერატურაც. „საგლეხო წრე“ შეიქნა განათლების, კულტურის ცენტრი სოფლისათვის და ეს არის მიზეზი, რომ ბევრგან გალიციაში სამიკიტნოები ცარიელდება და იკეტება კიდეც. რაც უნდა პატარა იყოს სოფელში „საგლეხო წრე“, ერთი გაზეთი მაინც აქვს გამოწერილი; ზოგან კი ათზე მეტი ჟურნალ-გაზეთები მოსდით.

„საგლეხო წრეებს“ ამნაირად აარსებენ: სოფლელი ინტელიგენტები (მასწავლებელი, მღვდელი) ან უფრო შეგნებული გლეხი წერილობით ატყობინებს „საზოგადოების“ გამგეობას ლვოვში, რომ ამა და ამ სოფელში ამდენი გლეხია მსურველი (ათზე ნაკლები არ შეიძლება) „საგლეხო წრის“ დაარსებისაო. გამგეობა აგზავნის სოფელში წესდებას, დაბეჭდილ დარიგებას და, თუ საჭიროა, საგანგებო წარმომადგენელსაც, რომელმაც ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს ახლად დაარსებულ წრეს. თითეული წრე თავის გამგეობას ირჩევს: თავმჯდომარეს, მის მოადგილეს, მდივანს და რამდენსამე წევრს. მეტ წილად ეხლა გამგეობა თვითონ გლეხებისაგან შესდგება. წინად-კი უფრო მღვდლები, მასწავლებელნი და ადგილობრივი მემამულენი იყვნენ. ყოველი წრე მოვალეა კვირა-უქმე დღეებში ჰმართოს კრებები. ჩვეულებრივ ნაწირევს ან ნალოცვს იკრიბებიან წევრები, ლაპარაკობენ სამეურნეო საქმეებზე, ჰკითხულობენ ლვოვიდან გამოგზავნილ სხვა და სხვა წიგნაკებსა და ჟურნალ-გაზეთებს. ბევრი წევრი ცოლშვილითაც მოდის ასეთ კრებებზე. მეტ წილად ყოველ ასეთ კრებას ესწრება რომელიმე ინტელიგენტი, რომ აუხსნას გლეხებს მათთვის გაუგებარი ადგილები წაკითხულიდან. ზამთარში საღამოობით სამკითხველოები თითქმის ყოველთვის სავსეა ხალხით, წინად რომ სამიკიტნოებში იხრჩობდნენ თავს არყის სმით.

მაგრამ, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, მთავარი საგანი „საგლეხო წრეების დამაარსებელ საზოგადოებისა“ გლეხის ქონებრივ მდგომარეობის გაუმჯობესებაა. ამ დანიშნულების ასასრულებლად „საზოგადოება“ სხვა და სხვა ღონისძიებას ხმარობს. პირველად ყოვლისა „საზოგადოება“ აგზავნის მცოდნე, კარგად მომზადებულ აგრონომებს იმ სოფლებში, სადაც საგლეხო წრეებია დაარსებული. ესენი იკვლევენ ადგილობრივ ნიადაგს, უხსნიან გლეხებს, რა სასუქი როგორ მოიხმარონ, სად რა დასთესონ და სხვა. როგორც რევიზორების ანგარიშიდან სჩანს, დღეს გლეხები დიდის ნდობით ეპყრობიან მცოდნე პირების ყოველ დარიგებას, იძენენ საუკეთესო თესლს, გაუმჯობესებულ სამეურნეო იარაღს, ჰყიდულობენ ხელოვნურ სასუქს, აშრობენ ჭაობებს, დაიწყეს ბოსტნისა და ხილის ბაღის შენება და სხვა. თუ საზოგადოების მოქმედების პირველ წელიწადს (1883) „გლეხთა წრეებმა“ სულ ათას გულდენის თესლი და სამას გულდენის[1] სამეურნეო იარაღი გამოიწერეს, ათის წლის შემდეგ ხელოვნური სასუქი იყიდეს 70 ათას გულდენისა და თესლი და სამეურნეო იარაღი 250 ათას გულდენისა. შეძენილ სამეურნეო მაშინას თუ სხვა იარაღს არა წევრსაც აქირავებენ და ფულს ან იარაღის შეკეთებას ახმარებენ ან წრის სხვა საჭიროებას. „საგლეხო წრეების“ წევრთათვის საგანგებო ლექციები იმართება ლვოვში და ამ ლექციებზე გალიციის სხვა და სხვა კუთხიდან მოსული გლეხები სწავლობენ პროფესორების ხელმძღვანელობით საქონლის მოვლა-წამლობას. „საზოგადოებამ“ მოაწყო სოფლებში წვრილი ვაჭრობა — გაჰმართა სასოფლო დუქნები (მომხმარებელი დუქნები). გლეხებმა დაინახეს, რომ ამ სასოფლო დუქნების წყალობით, სარგებელსაც იღებს ფულში და უკეთესი საქონელი უფრო იაფად იყიდეს, ვიდრე წინად იყო და დღეს მთელ გალიციას მოედო ეს დაწესებულება: ამ ათის წლის წინად ექვსასზე მეტი სასოფლო დუქანი იყო გამართული „საგლეხო წრეებთან“. პირველად ამ დუქნებში მხოლოდ ფქვილს, ნავთს, თამბაქოს, ჩაის, რკინეულობას და ამგვარებს ჰყიდდნენ. მაგრამ ბოლოს ადგილობრივ ნაწარმოების ვაჭრობაც შემოიღეს. მწარმოებელმა პირდაპირ მომხმარებელთან დაიჭირა საქმე და, რასაკვირველია, ორივე მხარე მოგებული დარჩა.

1893 წლიდან „საზოგადოება“-მ ცეცხლისაგან დაზღვევის საჭიროების ქადაგება დაიწყო და ამ ქადაგებას ნაყოფიც მოჰყვა: იმავე წელს ექვსი ათასმა წევრმა დააზღვევა თავისი ქონება, მანამდე კი არც ერთ გალიციელ გლეხს არ ჰქონდა არაფერი დაზღვეული. გარდა ამისა, „საგლეხო წრეებმა“ ბევრგან შეადგინეს ცეცხლის მქრობელი რაზმები და საჭირო იარაღებიც გამოიწერეს. პირველად გლეხები მეტად უნდოთ შეხვდნენ ამ ახალ საქმეს, მაგრამ რაკი საკუთარის თვალით ნახეს ცეცხლის-მქრობელ რაზმების მოქმედების სარგებლობა, ეხლა ყოველი წრე ცდილობს მოაწყოს თავისათვის ეს საქმე.

„საგლეხო წრეები“ აარსებენ თავისთვის შემნახველ-გამსესხებელ კასებს, რომ საჭიროების დროს ხელი მოიმართონ. სესხი ექვს პროცენტიანია, ვადა ერთის წლიდან ხუთ წლამდე. ამ კასების წყალობით ბევრმა გაინთავისუფლა თავი მევახშის კლანჭებიდან, ბევრმა გამოაბრუნა უკუღმა წასული ოჯახი, ბევრმა ახალი საქმე გამოიწყო, შინაურ-მრეწველობას თუ ვაჭრობას მიჰყო ხელი.

მოკლედ ამაში გამოიხატება „საგლეხო წრეების დამაარსებელ საზოგადოების“ მოქმედება. მისი წყალობით გალიციელი გლეხი ეჩვევა თავიანობას, თვით-მოქმედებას და შეკავშირების ძალის დაფასებას. მართალია, „საზოგადოების“ მოქმედება ღარიბსა და მდიდარს ვერ გაათანასწორებს, არსებულ უსამართლო ქონებრივ განაწილებას ვერ მოსპობს, მაგრამ ის კი უეჭველია, რომ გაჭირვებულსა და ღარიბს მეტ ძალასა და მხნეობას შესძენს გაჭირვებასა და გამჭირვებელთან ბრძოლაში.

---

[1] გულდენი უდრის 48 კაპეიკს.

მოძრაობა ბალტიის მხარეში

მოსკოვის მოძრაობის ჩაქრობის შემდეგ რუსულ გაზეთების ყურადღება ბალტიის მხარემ მიიქცია. ამ ჟამად იქ ნამდვილი ომია. ჯარი ცეცხლითა და მახვილით მიდის და ანადგურებს ყველაფერს, რაც კი გზაზედ ხვდება. სისასტიკემ იმ ზომამდე მიაღწია, რომ ბევრი რეაქციონერიც კი აღელვა. გაზეთებში ბევრი რამ იბეჭდება იქაურ მოძრაობის შესახებ. ვსარგებლობთ ამ მასალით, უმთავრესად „ნ. ჟ.“-ში დაბეჭდილი კორესპონდენციებით, რომ გავაცნოთ მკითხველებს ეს მოძრაობა.

მოძრაობა ბალტიის მხარეში სულ ბოლო დროს დაიწყო. პირველად აქაურმა ხალხმა ხმა შარშან გაზაფხულზე ამოიღო, როდესაც პეტიციებისა და შუამდგომლობის ხანა დადგა. მცხოვრებნი თხოულობდნენ იმ პრივილეგიების გაუქმებას, რომლითაც ადგილობრივი მემამულე-გერმანელები სარგებლობენ. ვგონებ ბევრს ეცოდინება, რომ ამ მხარეში მემამულეებად გერმანელები არიან. მთავრობა ყოველთვის ამ მემამულეების მხარეს იყო და იმათთან ერთად სჩაგრავდა გლეხობას. მცხოვრებნი თხოულობდნენ საეკლესიო პატრონატის გაუქმებას, თხოულობდნენ აგრეთვე იმას, რომ მემამულეებს გლეხებთან ერთად გაეღოთ საგზაო, საფოსტო და სხვა ხარჯი, გასულიყვნენ ბეგარაში, მისცემოდათ გლეხებს თევზაობის და ნადირობის ნება (თევზაობა და ნადირობა მემამულეთა მონოპოლიას შეადგენს), გაფართოვებულიყო თვითმმართველობა და სხვა.

ამას გარდა ლატიშები და ესტონელები თხოულობდნენ სასამართლოს, სკოლის და ეკლესიის რეფორმებს და შრომის პირობათა გაუმჯობესებას.

რა თქმა უნდა, ფეოდალურ ნაშთების გაუქმება და პოლიტიკურ უფლებათა მოპოვება პეტიციებით და შუამდგომლობით არ მოხერხდება. მემამულე-გერმანელები კვლავინდებურად ბატონობდნენ ყველგან,

რომელმაც უნდა დაათვალიეროს 1900 წლის 1 მაისის კანონი კავკასიის სახელმწიფო გლეხთა ცხოვრების მოწყობის შესახებ. კომისია ამ დღეებში შეუდგება მუშაობას.

◆ **ახალი საზოგადოება.** როგორც პეტერბურგიდან გვატყობინებენ, იქ დაარსებულა ქართველთა საზოგადოება, რომელსაც აზრად აქვს დახმარება აღმოუჩინოს ქართველ ახალგაზრდა ყმაწვილ კაცთა და ქალთ, რომელნიც სწავლის განგრძობას აპირებენ.

◆ **რკინის გზის უფროსის ახალი ბრძანება.** რკინის გზის სამხედრო უფროსმა პოლკოვნ. ნეიგაუზერმა ახალი ბრძანება გამოსცა. უფროსი აუწყებს მოსამსახურეებს, ვადაზე იარონ სამსახურში, არ დაიგვიანონ და, საზოგადოდ, სამსახური რიგიანად აასრულონ. ვინც ამ ბრძანებას გადაუხვევს, დაპატიმრებული იქმნება სამ თვემდე.

◆ **მკვლელობა.** სამტრედიაში, როგორც „ტიფ. ლ.“-ს ატყობინებენ, რევოლვერით მოუკლავთ ადგილობრივ საპყრობილის ზედამხედველი მილიციის პრაპორშჩიკი მოსე ხუნდაძე. მკვლელი ვერ უპოვნიათ.

◆ **პალატის მმართველთა კრება.** ამ თვის 25-ში ტფილისში დაიწყება კრება სახელმწიფო პალატის მმართველებისა.

◆ **ახალი ნოტარიუსი.** უფროს ნოტარიუსად, გრიგორიევის ნაცვლად დაინიშნა ტფ. ოლქის სასამართლოს წევრი მატკევიჩი.

◆ **დაპატიმრებული.** 19 იანვარს ტფილისში დააპატიმრეს სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებლად ნამყოფი ივანე რატიშვილი.

◆ კავკასიის წყალთა ინსპექტორმა გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობას წარუდგინა სია სახელმწიფო საბჭოს წარმომადგენლების ამომრჩეველთა. აღნიშნულ უწყებაში ამომრჩეველი 5 კაცია.

◆ ტფ. სამხატვრო სასწავლებლიდან, საპედაგოგიო საბჭოს გადაწყვეტილებით, ამ დღეებში გამოურიცხავთ 5-მდე მოსწავლე. ამის გამო მოსწავლეთ მოლაპარაკება აქვთ.

◆ მივიღეთ ახალი წიგნი: „სამი სიტყვა — თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა-ერთობა. ზოლბერისეული საუბარი“, ივ. მაჭავარიანისა, გამოცემული გადიდის წიგნის მაღაზიის მიერ, ფასი ერთი შაური.

◆ გუშინ, 20 იანვრისთვის, სამხედრო სასამართლოში გასსახილველად დანიშნული იყო საქმე კონდუქტორის იასონ ღლონტისა, რომელსაც ჰბრალდება კონტროლერის თუმანოვის მოკვლა. საქმე გადაიდო, რადგან არ გამოცხადდნენ არც ბრალდებული, არც მოწმეები და ვექილი. მიზეზი ის არის, რომ არც ერთს უწყება არ მიუღია.

◆ ტფ. ქალაქის გამგეობამ განიხილა საერთო განცხადება მეეტლეებისა, რომელთაც ითხოვენ ნება მიეცეთ გადასახადი ამა მიმდინარე წლისა გადაიხადონ რამდენისამე თვის შემდეგ. სავალდებულო დადგენილებების თანახმად, მეეტლეებმა უნდა 25 იანვრამდე შეიტანონ ფული და აიღონ ნომერი. გამგეობამ დაადგინა, გადაიხადონ მეეტლეებმა წასულ წლის გადასახადის დარჩენილი ფული და ამ წლის გადასახადის მეოთხედი ეტლებისათვის ნომრების მიღების დროს, ხოლო დარჩენილი წლევანდელ გადასახადებისა შეუძლიანთ შეიტანონ 1 ივნისამდე. დარჩენილი გადასახადი მეეტლეებს უჯარიმოდ გადახდევათ.

◆ ტფ. გუბერნატორის კანცელარიის მმართველის თანაშემწე ზ. ი. მაჭავარიანი ინიშება ახალციხის მაზრის უფროსის თანაშემწედ.

ქუთაისის ამბები

◆ 18 იანვარს ზესტაფონიდან მოვიდა გენერალი ალიხანოვი საგანგებო მატარებლით; თან ახლდა საომარ დროის სასამართლოს წევრები, ორი ადიუტანტი თავადი ჭავჭავაძე და პრინცი მიურატი და მრავალი აფიცრობა. ალიხანოვის მატარებელს წინ უძღოდა სამხედრო მატარებელი სალდათებით და პლასტუნებით.

ალიხანოვს ვოკზალზე დახვდნენ ადგილობრივი სამოქალაქო და სამხედრო დაწესებულებათა წარმომადგენელნი. გენ. ალიხანოვმა დამსწრეთ უთხრა, რომ ყველასთან ეხლა ლაპარაკი არ შეიძლება და იმედი მაქვს, რომ აქაც ისე დავამყარებ მშვიდობიანობას, როგორც შორაპნის მაზრაშიო. შემდეგ ამისა გენ. ალიხანოვი თავის ვაგონში დაბრუნდა და პატარა ხანს უკან გუბერნატორის სახლში დაბინავდა. ალიხანოვის მისვლის დღეს მოძრაობა მატარებლებისა რიონსა და ქუთაის შუა შეჩერებული იყო.

ამავე დღეს ქუთაისში სამს ადგილს გაჩნდა ცეცხლი, ერთი პადიეზდის ქუჩაზე ვოგზალის მახლობლად, სადაც დაიწვა 7 მაღაზია და დანარჩენი მთლად განადგურებულია. ბალახვანის ქუჩაზე დაიწვა ორი მაღაზია და რამდენიმე განადგურებულია; ტფილისის ქუჩაზე დაიწვა ერთი მაღაზია. ამას გარდა მრავალ ადგილას ძარცვა-გლეჯა მოხდა. როგორც ამბობენ ვიდრე ცეცხლს წაუკიდებდნენ მაღაზიებს, რაც-კი რამ შიგ ნახეს ძვირფასი გამოიტანეს და სამი დროგით წაიღესო.

◆ 17 იანვარს დაატუსაღეს ქუთაისში ქალაქის საბჭოს წევრი კანდელაკი, ნაფიცი ვექილი მ. ქიქოძე, „ნადეჟდის“ აგენტი ვ. ქილაძე, ს. ჯაფარიძე და სხვები.

◆ გენ. ალიხანოვის განკარგულებით ქუთაისის პოლიცმეისტერი ა. კლიმენტიევი სამსახურიდან დათხოვნილ იქმნა.

პრესსა

სამხედრო იურიდიულ აკადემიის პროფესორი, სამხედრო სისხლის სამართლის სპეციალისტი ვ. დ. კუზმინ-კარავაევი გაზეთ „მოლვა“-ში იკვლევს ჯარისა და პოლიციის უფროსებისაგან ხალხის დახვრეტის იურიდიულ ბუნებას და ამბობს:

ფორმალურად და იურიდიულად პირდაპირი აჯანყება ისეთივე დანაშაულობაა, როგორც ქურდობა ან მკვლელობა. შეიარაღებული სამხედრო კამანდა — სულ ერთია, ორი სალდათისაგან შესდგება, ერთი როტისაგან, თუ მთელის კორპუსისაგან არტილერიისტურით — მოქმედების ხასიათით იგივეა, რაც დაბალი პოლიციელი (გოროდოვოი). ჯარს შეუძლიან ნამდვილი ბრძოლა გასწიოს, შეუძლიან ისროლოს ზარბაზნებიდან და ტყვიის-მტყორცნელებიდან — პრინციპიალურად ამის უარ-ყოფა არ იქმნება. მაგრამ შეუძლიანთ იომონ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც თვით აჯანყებული ომობენ; შეუძლიანთ იხმარონ ზარბაზნები მხოლოდ იმდენად, რამდენადაც სხვა საშუალება არ მოიძებნება წინააღმდეგობის გასატეხად. რა წამს წინააღმდეგობა მოისპობა, რა წამს აქტიური მოქმედება აჯანყებულების შეჩერდება, — მაშინვე ის სალდათი, რომელიც სროლას განაგრძობს, ჰხდება ბოროტ-მომქმედ მკვლელად, აფიცერი, რომელიც სროლას უბრძანებს, — მკვლელობის წამქეზებლად.

რაღა უნდა იფიქროს კაცმა ისეთის შემთხვევების გამო, როცა დატყვევებულებს შეპყრობის ერთის ან ორის დღის შემდეგ ჰხვრეტავენ? რა უნდა ვთქვათ ისეთ შემთხვევების გამო, როცა სატუსაღოდან მოჰყავთ დატყვევებულნი პირდაპირ დასახვრეტად?

კუზმინ-კარავაევი კატეგორიულად უარჰყოფს, რომ კანონიერების რაიმე ელფერი ჰქონდეს იმ სისასტიკეს, რომელსაც ეხლა იჩენენ. ამ აზრის დასასურათებლად კუზმინ-კარავაევი შემდეგს ამბავს მოგვითხრობს.

ჩინეთში ბოქსიორების (მეკრივეების) აჯანყების ჩაქრობის დროს, 1900 წელს, რუსეთის საექსპედიციო კორპუსის ერთის რაზმის უფროსმა მოახდინა ხელდახელი და საკუთარ გემოვნებაზე აშენებული სამართალი შეპყრობილ ჩინელებზე; შეპყრობილნი დახვრიტეს. რაზმის უფროსი ამის გამო დასჯილ იქმნა. ასე მოექცნენ კანონის დარღვევისათვის რაზმის უფროსს ჩინეთში. უცხო ქვეყანაში, სადაც ევროპიელთა მცირე რიცხოვანი რაზმები ჰმოქმედობდნენ მტრულად განწყობილ ადგილობრივ მცხოვრებთა შორის, სადაც საკმაო ძალა არა ჰქონდათ შეპყრობილთა საყარაულოდ, არა ჰქონდათ საპყრობილეები და ვერ ასწრობდნენ შეპყრობილთა გადაცემას სასამართლოს ხელში. ეხლა ასეთი სისტემა სასჯელისა გამეფებულია მიტავაში, ვალკში, ლიბავაში, მოსკოვსა და მოსკოვის მიდამოებში.

ასე უცქერის ეხლანდელ დამამშვიდებლების მოქმედებას საომარ დროის კანონების სპეციალისტი. რა უნდა ვიფიქროთ ან რა უნდა ეწოდოს იმ სისასტიკეს, რომელსაც კავკასიელი დამამშვიდებელნი იჩენენ თეთრის ბაირაღებით და პურ-მარილით ჯარის დასახვედრად გამოსულ ხალხის წინააღმდეგ.

რუსეთი

არეულობა ციმბირში. ციმბირიდან ამბები მოსულა სამშობლოში შინ მიმავალ სათადარიგო ჯარის კაცების აჯანყების შესახებ. ეს ჯარის კაცები იკლებენ სადგურებსა და ბუფეტებს. რკინის გზის მოსამსახურეებს სცემენ. თითქმის არც ერთი სადგური არ გადარჩენილა. ჯარის კაცები გადამეტებულ სიმკაცრით ასამართლებენ მოსამსახურეთ („რ. ვ.“).

გლეხთა მოძრაობა ხარკოვის გუბ. გაზ. „ვეჩერ. გოლ.“-ს ატყობინებენ ხარკოვიდან, რომ რევოლიუციონური მოძრაობა გლეხთა შორის სუჯანის მაზრაში არა სცხრება. იქ გაიგზავნა აურიცხველი ჯარი ზარბაზნებით, მაგრამ რეპრესიების მიღება ძნელია, რადგან გლეხები ძალმომრეობას არ იჩენენ და არ იკლებენ მამულებს. ისინი მხოლოდ გადასახადს არ იხდიან. გაზაფხულზე გლეხები გაფიცვას აპირებენ. სუჯანში ნამყოფნი გაკვირვებულნი არიან, რა ფართოდ გავრცელებულია იქ სოციალ-რევოლიუციონერების აზრები. გლეხთა დიდი უმეტესობა სრულიად შეგნებით ეკიდება მიწის და თავისუფლების შესახებ პროპაგანდას და მტკიცედ სწამს განთავისუფლების მოძრაობის მომავალი გამარჯვება.

სარატოვიდან ატყობინებენ იმავ გაზეთს, რომ დროებით შემდგარი გლეხთა მოძრაობა ხელ ახლად დაიწყო. სერდობის მაზრაში რამდენიმე სახლ-კარი გადაუწვავთ. ყაზახები გაგზავნეს დასამშვიდებლად, მაგრამ გლეხებმა ძლიერ სცემეს. გლეხები არავითარ გადასახადს არ იხდიან. მარტო ერთ მაზრაში 120,000 მანეთია ჯერ კიდევ შესაკრები.

შიმშილობა რუსეთში. სარატოვის გუბერნია თითქმის სულ ერთიან დამშეულია. ამ გუბერნიის ერთის მაზრის ერობის თავმჯდომარემ მიმართა ხალხს მოწოდებით, რომელშიაც აღწერილია გლეხთა საშინელი გაჭირვება. „მიწათმოქმედ მცხოვრებთა მდგომარეობა საშინელია, — ამბობს მოწოდების ავტორი, — არ არის არც პური, არც გასათბობი მასალა. სამუშაო ნელ-ნელა ილევა; საქონელს სულ მცირე ფასად ჰყიდიან. გლეხის ცხოვრებასთან ახლო მდგომნი რწმუნდებიან, რომ ის დახმარება, რომელსაც უწევს გლეხობას მთავრობა, არა კმარა.“

ახალი შავი რაზმი. ტულის თავად-აზნაურთა კრებას გრაფ ბობრინსკის წინადადებისამებრ დაუდგენია, შეადგინოს თავის ხარჯით ყაზახთა ერთი პოლკი თავად-აზნაურობის მამულების დასაცავად. პოლკში 400 კაცი იქნება; იგი უკვე უზრუნველყოფილია სრულის წლის ჯამაგირით.

ახალი საბჭო. შინაგან საქმეთა სამინისტროს განზრახვა აქვს მოიწვიოს ქალაქების და ერობათა წარმომადგენელნი და შეადგინოს საბჭო ადგილობრივ მრეწველობის უმაღლეს მმართველობასთან. ეს საკითხი ჯერ საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი. იგი ახლო მომავალში უნდა გადაწყდეს.

საქალაქო მილიციის საქმე. ქალაქის კომისია მილიციის დარსების საქმეზე ასრულებს თავის შრომას. კომისსიამ დაადგინა მილიციის დაარსება გადასდოს, რადგან ეხლანდელ პირობებში სამოქალაქო მილიციის დაარსება შეუძლებელია. სხვანაირ მილიციის დაარსება კი ფულის ფუჭი ფლანგვა იქნება.

არქიეპისკოპოსი შავ რაზმელთა მეთაურის როლში. მოსკოვში დიდხანს არაფერი ამბები არ მისულა ციმბირიდან. ამას წინად მიუღიათ პირველად გაზეთი „ზაბაიკალი“, რომელშიც აწერილია ტომსკის აკლება შავრაზმელთა მიერ. „აკლების წინად, როგორც გაზეთი გადმოგვცემს, იქაურ მთავარეპისკოპოსს გადაუხდია პარაკლისი, რომლის შემდეგაც ხელში ხელმწიფის სურათით მიუმართავს შავ-რაზმელთათვის შემდეგის სიტყვით: „გახსოვდეთ, რომ ხელმწიფე ღვთისაგან მირონცხებულია. შინაურ მტრებს სურთ მისი დამცირება და ტახტიდან ჩამოგდება. ჩვენ ყველანი მისი შვილები ვართ, ჩვენ მას შევფიცეთ, რომ ვემსახუროთ: და მისთვის სიცოცხლე არ დავიშუროთ ღმერთი დაგვსჯის, თუ არ დავიცვათ მას. ეხლა გაძლევთ ხელმწიფის სურათს და გეუბნებით: გახსოვდეთ, რომ თუმცა იგი თქვენთან პირადად არ არის, მაგრამ იმისი სურათი იქნება თქვენთან. თქვენ უნდა დაიცვათ იგი მტრებისაგან. გლოცავთ კეთილ საქმისათვის! არ დაინდოთ მტერი, თუნდ რომ შებრალებაც გთხოვოს! ეცადეთ დაამარცხოთ იგი. ამისათვის გელით სასუფეველი ზეცაში... მე გამუდმებით თვალს გადევნებთ თქვენ. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!“ ამ სიტყვებით ეპისკოპოსმა აღაპყრო ხელები და დალოცა ხალხი. შავი რაზმი აქედან ქალაქის თვითმმართველობის სადგომისაკენ გაემართა და უნდა აეკლო იგი, მაგრამ დახვდა მილიცია. შავ რაზმელებმა ეზოში მოჰკლეს გაზ. „ს ბირ. ვესტ.“-ის თანამშრომელი იაროპოლსკი და წავიდნენ. აქედან რკინის გზის სამმართველოს მიადგნენ და იქაც მილიციას წააწყდნენ. მაგრამ მოცვივდნენ ყაზახები და გაჰფანტეს მილიცია. მოვიდა გუბერნატორი, რომელიც ამხნევებდა შავ რაზმელებს. რკინის გზის სამმართველო გადასწვეს; ვინც შენობიდან გამოვიდა, ყველა მოჰკლეს. გუბერნატორმა თვალით ანიშნა ყაზახებს, ესროლეთო. შავ-რაზმელებმა, სხვათა შორის, მოჰკლეს ქალი, რომელსაც მუცელში წვეტიანი ჯოხი ჩაურჭეს. მოჰკლეს რამდენიმე სტუდენტი და ქალი 13 წლისა. მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი 300, დამწვართა 500. მეორე დღეს გუბერნატორმა შავ-რაზმელებს ნება მისცა ებრაელების აკლებისა. „აკლება შეიძლება, ეუბნებოდა იგი, — მხოლოდ მოკვლა კი არაო“.

თეატრი და მუსიკა

ქართული წარმოდგენა („ახალი ძალა“, დრამა ლანგმანისა, თარგ. გ. ედოშვილისა. 19 იანვარი)

ხუთშაბათს ქართულს სცენაზე წარმოადგინეს ლანგმანის ახალი პიესა „ახალი ძა-

---

ხოლო იქ, სადაც მუშებმა გაფიცვით მოიწადინეს თავიანთ მდგომარეობის გაუმჯობესება, სამხედრო ძალას მიმართეს თავიანთ ინტერესების დასაცველად. ქალაქებსა და სოფლებში ჯარისა და ყაზახის გაჩენისთანავე სურათი ერთბაშად შეიცვალა. უკმაყოფილება, რომელმაც ძლიერ სუსტად იჩინა თავი, უცბად გაიზარდა და ივლისის დამლევს კურლიანდიის, ესტლანდიის და ლიფლიანდიის სოფლის მცხოვრებთ კიდით-კიდემდე მოედო მოძრაობის ძლიერი ტალღა. ამის შემდეგ ხალხმა სასტიკ ზომებს მიჰმართა. გადასწვეს იმ მემამულეთა სახლები, რომელნიც უფრო სძულდათ, გაანადგურეს სასოფლო სამმართველოებში ქაღალდები და სხვა. მთავრობამ ჩვეულებისამებრ რეპრესიებით გასცა პასუხი. მთელ ამ კუთხეს კალიასავით მიესია ყაზახობა და დრაგუნები. ესენი მემამულეთა ხელმძღვანელობით მოქმედებდნენ. როდესაც ამ რეპრესიებს და ხალხის უმიზეზოდ დახვრეტას 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგაც არ მოეღო ბოლო, ხალხმა მიმართა უკანასკნელ საშუალებას — შეიარაღებულ თავ-დაცვას. პირველ შეტაკების მოწმე ქალაქი ტუკუმი გახდა.

საქმე ასე მოხდა. 27 ნოემბერს ტუკუმის მახლობლად მოხდა ყრილობა, რომელზედაც არჩეულ იქმნა სლამპენის ვოლოსტის აღმასრულებელი კომიტეტი. ექვსი კაცი, ამ ყრილობიდან უკან დაბრუნებული, ქალაქ ტუკუმის ერთ საჩაიეში შევიდა, ყველას თან რევოლვერი და თოფი ჰქონდა. ადგილობრივმა მაზრის უფროსმა ბარონმა რ—მ უბრძანა, დაეპატიმრებინათ ეს კაცები. ამავე დღეს ბარონმა ბრიუგენმა მშობლების კრებაზე გამოუცხადა ამ უკანასკნელთ, ამ კვირაში სკოლაში ბავშვებს ნუ გამოგზავნით, რადგან საშიში იქნება ქუჩებში სიარულიო. აშკარა იყო, რომ ტუკუმში ხალხის ამოსაწყვეტად ემზადებოდნენ. ხმა მალე მოედო ქალაქს. შეშინებული ხალხი აქეთ-იქით იხიზნებოდა, რომ უბედურებას ასცდენოდა. დარჩენილი მცხოვრებთ შეადგინეს თავ-დამცველი დრუჟინა. კანტი-კუნტი შეტაკება მეორე დღესვე დაიწყო. აღმოჩნდნენ დაჭრილნი და მოკლულნიც. 29 ნოემბერს, მაგალითად, მოჰკლეს ლ. ვენდი, ხოლო იმისი მამა შეიპყრეს.

30 ნოემბერს ტუკუმის ახლო-მახლო მდებარე სოფლებიდან შეიკრიბა შეიარაღებული გლეხობა. პირველ დეკემბერს ამ გლეხობამ დაიჭირა პოზიციები ლატიშთა საზოგადოების სადგომსა და ლიუტერანთა ეკლესიაში. მოხდა შეტაკება ჯართან, რომელიც იძულებულ იქნა უკან დაბრუნებულიყო. რევოლიუციონერებმა დაიჭირეს ქალაქი, გაანთავისუფლეს პოლიტიკური დამნაშავენი და დააწესეს სახალხო მილიცია, რომელიც მხნედ შეუდგა ქურდობის აღმოფხვრას და შავ-რაზმელთა დაწიოკებას. რამდენიმე კაცი დააპატიმრეს კიდეც და საპყრობილეში ჩასვეს. მაგრამ ამ ბატონობამ დიდ ხანს არ გასტანა. მიტავიდან გაგზავნეს ჯარი, როგორც ქვეითი და ცხენოსანი, ისე არტილერია.

როდესაც რაზმი ქალაქში შევიდა, რაზმის უფროსმა გენერალმა ხორუჟენკოვმა ბრძანება გასცა, ზარბაზნები დაეშინათ ლატიშთა საზოგადოების სახლისათვის. პირველი ყუმბარა კედელს მოჰხვდა, მაგრამ ვერ გაანგრია. ასეთივე შედეგი მოჰყვა მეორესა და მესამე ყუმბარას. ამავე დროს რევოლიუციონერებმა, რომელნიც სახლებსა, სარდაფებსა და სახლის თავებზე ჩასაფრდნენ, თოფები დაუშინეს ჯარს. ჯარმა უკან დაიწია, დადგა ზარბაზნები კარგა მაღალ გორაზე და მთელ ქალაქს ყუმბარები დაუშინა. ხოცვა-ჟლეტა მაშინაც არ მოისპო, როდესაც ჯარმა და ქალაქმა დროებითი ზავი დასდეს.

გაზენპოტში (კურლიანდიის გუბერნია) შეტაკებას ცოტა სხვა ხასიათი ჰქონდა. გენერალ-გუბერნატორმა ბეკმანმა ბრძანება გასცა, დაუყოვნებლივ დაიჭირონ და კურლიანდიის გუბერნიიდან გადაასახლონ მასწავლებელნი სკუდრინგი და ბაზონი, ერთი ბეითალი და რამდენიმე სხვა კაცი. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა გაიგეს თუ არა ეს ამბავი, მთელს მაზრაში მობილიზაცია გამოაცხადეს და აი ერთ ღამეს ერთ დანიშნულ ადგილას შეიკრიბა ოცი ათასი სხვა და სხვა გვარად შეიარაღებული გლეხი. იყვნენ აქ მესაკუთრე გლეხები, შეიარაღებული ახალის სისტემის თოფებით, რევოლვერებით, სანადირო თოფებით და ხმლებით; იყვნენ ბოგანო გლეხებიც, რომელთაც ხელში ორთითები და ნაჯახები ეჭირათ. ჭაღარა მოხუცები და ჭაბუკები ამ ჯარში ერთად იდგნენ.

ვიდრე მოქმედებას შეუდგებოდნენ, გლეხებმა მაზრის უფროსს კაცები გაუგზავნეს და შეუთვალეს მთავრობას: ხალხმა მთელს მაზრაში სამხედრო წესები გამოაცხადა და თუ იმის მოთხოვნილებებს არ შეასრულებთ, იძულებული იქნება შეუდგეს იარაღით მოქმედებასაო. გლეხები თხოულობდნენ: პოლიტიკურ დამნაშავეთა განთავისუფლებას, ჯარის გაყვანას, გენერალ-გუბერნატორის იმ ბრძანების გაუქმებას, რომელიც სხვა და სხვა პირთა გადასახლებას შეეხება, ადგილობრივ თვითმმართველობის შემოღებას და სხ. ადგილობრივი მთავრობა დაიბნა, დაჰპირდა, ზოგ მოთხოვნილებას შევასრულებთ, ზოგის შესახებ-კი შუამდგომლობას აღვძრავთო. ხელმძღვანელნი დაჰყაბულდნენ ამას, დაითხოვეს სარევოლიუციო ჯარი და გამოაქვეყნეს ხალხის მობილიზაციას ხელახლა გამოვაცხადებთ, თუ მოთხოვნილებას არ შეგვისრულებთო.

ლიფლიანდიის გუბერნიაში, შტოკმანსჰოფის მიდამოებში 3 დეკემბერს ერთის ოლქურის საქმის-მწარმოებლის წინამძღოლობით მოჰკლეს პირველ-დაწყებითი სკოლის მოწაფე. მეორე დღეს, 4 დეკემბერს, შეიკრიბნენ ოცდა-ათამდე ბარონი, დრაგუნები და ჩერქეზები. (ადგილობრივ თავად-აზნაურობის დარაჯებად და ადგილ-მამულის დასაცველად კავკასიიდან დაბარებული ჩერქეზები ჰყავთ. ამ ჩერქეზებმა უფრო გამოიწვიეს მოთმინებიდან გლეხობა. მეტად უღმერთოდ და უწყალოდ ექცეოდნენ თურმე სოფლელთ). ეს რაზმი ქალაქ რიგისაკენ გაემართა, მაგრამ შტოკმანსჰოფის მახლობლად რევოლიუციონერებმა გზა მოუჭრეს. მოხდა შეტაკება. სროლამ კარგა ხანს გასტანა. ბოლოს თავად-აზნაურებმა თავიანთის რაზმით უკან დაიხიეს და შტოკმანსჰოფის კოშკს მიაშურეს. მაგრამ მეორე დღეს რევოლიუციონერებმა იქიდან გამოაგდეს და უკუ-აქციეს. კოშკში მილიციონერებმა ნახეს ორი თავიანთი ამხანაგი. ერთი უკვე მოეკლათ, ხოლო მეორე სიკვდილის პირზე იყო. ამან სთქვა, რომ ჩერქეზებმა, დრაგუნებმა და ბარონებმა ერთად შეგვიპყრეს და წამება დაგვიწყესო. ძალას გვატანდნენ, გაგვეცქა ამხანაგები და იმათ მოქმედების გეგმა. შემდეგ გადასწყვიტეს ჩვენი მოკვლა, ჩემი ამხანაგი წუთისოფელს გამოასალმეს და მეც ამ ყოფაში ვარო. ამავე დაჭრილმა სთქვა, რომ ბარონები თავიანთის რაზმით რიგისაკენ გაეშურნენო. რევოლიუციონერებმა დიდ-ხანს აღარ დააყოვნეს და გამოუდგნენ გაქცეულს. ლელვარდენის კოშკთან ახალი ბრძოლა მოხდა. ბარონებმა და რაზმმა ჯერ კოშკს შეაფარეს თავი, მაგრამ მალე იარაღი აიყარეს და დამორჩილდნენ.

ამ დროს რიგაში თავად-აზნაურთა კრება იყო. დატყვევებულთა თხოვნით რიგაში დეპუტაცია გაიგზავნა, რომელმაც აცნობა კრებას 26 ბარონის დატყვევების ამბავი. რევოლიუციონერთა დელეგატებმა გამოუცხადეს კრებას, რომ ბარონებს მანამდე არ გაანთავისუფლებენ, სანამ თავად-აზნაურობა თავის პრივილეგიებზე ხელს არ აიღებს და არ მოითხოვს, რომ გაუქმდეს სამხედრო წესი და ჯარი გაიყვანონო. კრების წევრებმა იმ ვე დღეს მოაწერეს ხელი ქაღალდს, რომელშიაც უარს აცხადებდნენ პრივილეგიებზე და ჰპირდებოდნენ შუამდგომლობას ჯარის გაყვანის შესახებ ბალტიის მხრიდან. ამის შემდეგ რევოლიუციონერებმა ბარონები გაანთავისუფლეს, დრაგუნებს იარაღი აჰყარეს, ხოლო ჩერქეზები და სამი ბარონი — პოლიციელი სიკვდილით დასაჯეს.

შეტაკება დრაგუნთან ნოემბრის ბოლო და დეკემბრის პირველ რიცხვებში, თითქმის ყველგან ხდებოდა და ყველგან ერთი და იგივე ხასიათი ჰქონდა ამ შეტაკებას. ხალხი ერეკებოდა დრაგუნებს და სწვავდა იმ სახლებს და მამულებს, რომელიც ამ ბოლო დროს მოწინააღმდეგემ სამოქმედო ბაზად გაიხადა. ბრძოლა შეგნებული და კარგად მოწყობილი იყო. აქ-იქ, შემთხვევით, როგორც ამისთანა დროს ხდება ხოლმე, გადაიწვა ორიოდე ისეთის ბარონის მამულიც, რომელთა წინააღმდეგ გლეხებს არაფერი ჰქონდათ.

აი, მოძრაობის საზოგადო სურათი. ასეთ წვრილ შეტაკებებს მოჰყვა ის სასტიკი ზომები, რომელსაც მთავრობამ მიჰმართა ბალტიის გლეხთა დასასჯელად. მთელ ბალტიის მხარეში გამოცხადებულ იქნა სამხედრო დიქტატურა. გაგზავნეს ჯარი სხვა და სხვა მხრიდან. დაიწყო დახვრეტა, სოფლების გადაწვა და აწიოკება.

ამ სისასტიკის ამბები ჯერ-ჯერობით დაწვრილებით არ არის აღწერილი. ეჭვი არ არის, შემდეგში ყველაფერი გამოაშკარავდება. თითო-ოროლა ამბავს ეხლაც გადმოგვცემენ გაზეთები: „ნ. ჟ.“-ში, მაგალითად, დაბეჭდილია: დობლენში (კურლ. გუბერნია) შეიპყრეს და დახვრიტეს მასწავლებელი ფელდმანი. ოლაიში (ლიფლ. გუბ.) დახვრიტეს რამდენიმე მოზარდი და მუშა, რომელნიც ტყეში ნაყარ შეშას ჰკაფავდნენ. ვინდავაში შეიპყრეს რამდენიმე კაცი, ეჭვი შეიტანეს, რომ ესენი ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ კომიტეტის წევრნი უნდა იყვნენო, გაიყვანეს ქალაქ გარედ და დახვრიტეს. მთავრობა რევოლიუციონერად სთვლის ყველა იმას, ვინც ქალაქებსა და სოფლებში ხალხმა აარჩია სხვა და სხვა საქმეების გასაძღოლად.

„ვეჩ. გოლოსი“ სწერს: „ხალხთან ბრძოლის დროს ჯარის უფროსნი არავითარ საშუალებას არ ერიდებიან. არ აქცევენ ყურადღებას არც გამოძიებას, არც საქმის გარჩევას. საქმე იქამდე მივიდა, რომ ბევრგან ჯარიც-კი აღარ ასრულებს უფროსების ბრძანებას ხალხის დახვრეტის შესახებ. ამას წინად ასეთი შემთხვევაც იყო: სალდათებმა მოჰკლეს თავიანთი აფიცერი, რომელმაც ბრძანება გასცა დაეხვრიტათ ყველა შემთხვევით დატყვევებული ლატიშელები. შეგნებულ სალდათებს უფრო ის აბრაზებს, რომ ხალხს ბარონების მიერ შედგენილ სიებით ხვრეტავენ. სალდათების მოსატყუებლად სალდათებს ათას რამეს უამბობენ ლატიშელების შესახებ. ეუბნებიან, რომ ლატიშელები მხეცურად ექცევიან იმ სალდათებს, რომელთაც ხელში ჩაიგდებენ, — ჰკლავენ და ცეცხლში სწვავენო. ყაზარმებში სალდათებს უჩვენებენ ფოტოგრაფიულ სურათებს, რომლებზედაც დახატულია სალდათების დასახიჩრებული გვამები. ზოგს ყური აქვს მოჭრილი, ზოგს ცხვირი, ზოგს კიდევ თვალები აქვს ამოთხრილი. ლატიშელები ამბობენ, რომ ყველა ამას ბარონები სჩადიან სალდათების ასაღელვებლადო.“

ლი“. შინაარსი პიესისა ჩვენს გაზეთში გუშინ დაწვრილებით იყო მოთხრობილი. ლანგმანის პიესა იმ მელოდრამატიულ ნიადაგზე არ არის აშენებული, რომელსაც შეეჩვივნენ და შეესისხლხორცნენ ჩვენი არტისტები, ამიტომ ჩვენთვის საკვირველი არ არის, რომ ქართველმა არტისტებმა ლანგმანის პიესას ვერ დასძლიეს, ვერ ჩაჰბერეს ცხოველმყოფელობის სული დრამის გმირებს და ვერ დაასურათეს გერმანელ მუშა ხალხის სულიერი მდგომარეობა.

„ახალი ძალისთანა“ პიესის რიგიანად აღსრულებას, თითოეულ არტისტისაგან თავის როლის ღრმად შეგნების გარდა, აუცილებლად სჭირია რეჟისსორის გამოცდილი და გამამშვენებელი ხელი, მწყობრი შეთანხმება სცენაზე მყოფ ყველა მოთამაშეების და სტატისტებისა. ჩვენის სცენის ნაკლულევანება კი სწორედ ფაქტიური ურეჟისორობაა. მელოდრამატიულ და სავოდევილო კარიკატურულ როლებს შეჩვეული ქართველი არტისტები ადვილად ამახინჯებენ როლებს, ადვილად გადააქცევენ ხოლმე სერიოზულ მდგომარეობას სამასხარო მომენტად და, რაც უფრო მეტი რეალისმია დრამაში, მით უფრო ხშირად ჰხდება ასეთი გადამახინჯება. მობენეფისემ ქ. გაბუნია-ცაგარლისამ, მაგალითად, ისე გაამასხარავა ქვრივი შტიგერის როლი, რომ თეატრის დარბაზს სიცილი მოსდიოდა, როდესაც ქვრივი შტიგერი თავის შვილს ლუკას მიეგება და ალერსი დაუწყო. გამასხარავებული იყო აგრეთვე ბაუსპერტის როლი ბ-ნ შათირიშვილისაგან, რომელიც საერთოდ გონიერი არტისტია, მაგრამ ზოგჯერ ეფფექტების სიყვარულით გადამლაშება იცის ხოლმე. სცენა ლუდხანაში, რომელიც სიცოცხლით სავსე სურათი უნდა ყოფილიყო გალოთებულ და დაცემულ მუშათა ცხოვრებისა, მეტად მკრთალი და უფერული გამოდგა,—სრულიად მოკლებული იყო ბუნებრივობის ხასიათს; არტისტები უგემურად აძლევდნენ ერთმანეთს პასუხს; სადაც რომელიმე მუშის მოსწრებული სიტყვა საერთო სიცილს იწვევდა, იქ მომეტებულ ნაწილად თეატრის დარბაზს სრულებით ვერ გაეგო, რაზე იცინოდნენ სცენაზე. ამისი მიზეზი შეიძლება უვარგისი თარგმანიც იყო, მაგრამ არც არტისტების გამართლება შეიძლება.

ხუთშაბათს პირველად ვნახეთ ქართულს სცენაზე ქ-ნი თ. კიკნაძე, რომელსაც პირველადვე მეტად მძიმე და პასუხსაგები ტერეზას როლი ეკისრა. ახალგაზრდა მსახიობ ქალს ჯერ მხოლოდ ერთი ღირსება ეტყობა—კარგი ქართული გამოთქმა (დიქცია); ტერეზას როლი რომ ღირსეულად ვერ შეასრულა—ეს საკვირველი არ არის. ტერეზა—მეტად რთული პიროვნებაა, და გამოუცდელ არტისტს იმის სულისკვეთების გადაცემას ვერ მოვთხოვთ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მეტყველი სახე და მკაფიო დიქცია საბუთს გვაძლევს იმედი ვიქონიოთ, რომ ქ. კიკნაძე საპატიო ადგილს დაიჭერს ქართულს სცენაზე.

ხუთშაბათის წარმოდგენას ხალხი საკმაოდ დაესწრო. მობენეფისეს რამდენიმე საჩუქარი მიართვეს.

◆

დეპეშა

პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან.

18 იანვარი

პეტერბურგი, 18 იანვარი. ვისაც რუსეთიდან პორტ-არტურისა და კვანტუნის ნახევარ კუნძულზე უნდა წასვლა, იმას ტოკიოში მოწმობებს აძლევენ შემდეგის პირობით: წასვლა შეუძლიანთ იმათ, ვისაც თავის ქონების მოძებნა უნდა. წამსვლელთ უნდა აცნობონ დრო წასვლისა, ადგილი, სად დარჩათ ქონება, რაოდენობა ამ ქონებისა და ფასი. პატრონს შეუძლიან გაგზავნოს ერთი წარმომადგენელი.

განზრახულია დაარსდეს საზოგადოება სამხრეთ რკინის გზებისა. ამ საზოგადოებამ უნდა გააყვანოს გზა უმან-ნიკოლაევ-ხერსონიდან შავის ზღვის აღმოსავლეთ ნაპირის გაყოლებაზე ბათუმამდე.

ბირჟის კომიტეტმა აცნობა ვიტტეს და სოლსკის, რომ 12 ადგილი, რომელიც სახელმწიფო საბჭოში ვაჭრობისა და მრეწველობის წარმომადგენელთ უნდა დაეთმოთ, საკმაო არ არის. ერობებს და თავად-აზნაურობას დაეთმო 68 ადგილი. ბირჟის კომიტეტი თხოულობს 30 ადგილს თორმეტის ნაცვლად.

ზოგიერთმა ფაბრიკებმა ასწიეს სამუშაო დღე და დაუკლეს მუშის ხელფასს, რადგანაც შრომის მიწოდება გაძლიერდა. გუბერნიის ადმინისტრაციამ უპასუხა ექიმებს, რომელნიც იმუქრებოდნენ, რომ ისინიც შესწყვეტავენ სამკურნალო მოღვაწეობას საერობო ექიმების დატუსაღების გამო, ვერავითარი მუქარა ვერ შეაჩერებს ადმინისტრაციას მოვალეობის ასრულების წინაშეო.

კოსტრომა, 18 იანვარი. აგრარული მოძრაობა განისაზღვრა ხე-ტყის გაჩეხვით.

კელცი, 18 იანვარი. დროებითმა გენერალ-გუბერნატორმა ბობილევმა გამოსცა ბრძანება, 3 დღის განმავლობაში ჩააბარეთ ადმინისტრაციას იარაღი, თორემ ჩამოვახრჩობთ, ვისაც ვუნახავთო.

ელისავეტგრადი, 18 იანვარი. რადგანაც პოლიციამ გაჩხრიკა წიგნის მაღაზიები და აკრიფა „მოლოტი“-სა, „ბურევესტნიკ“-ისა და სოციალდემოკრატიულ ფირმების გამოცემული ბროშიურები, ამიტომ წიგნით მოვაჭრეებმა გადასწყვიტეს აღარ გამოიწერონ უკანასკნელ დროის გამოცემანი, რათა თავი დააღწიონ დასჯას სამხედრო წესების ძალით.

ტულა, 18 იანვარი. ტულის თავად-აზნაურთა კრებამ დაადგინა, მოიწონოს მთავრობის რეპრესიული ზომები წესიერების აღსადგენად მიღებული.

კამიშინი. დაატუსაღეს და ციხეში ჩასვეს საერობო უფროსი შტეინფოლდი.

ვილნო. გამოვიდა პირველი № ჟურნალ „კრესტიანინ“-ისა, რომელსაც სცემს გლეხთა საზოგადოება ჩრდილოეთ-დასავლეთის გლეხების გასანათლებლად 17 ოქტომბრის მანიფესტის საფუძველზე.

კავკავი. 20 იანვარს სტანიცა ჩორვლენნოიში შეიკრიბება სტანიცების წარმომადგენელნი არჩევნებზე მოსალაპარაკებლად. აქვე არიან მოპატიჟებული ჩეჩნების წარმომადგენელნი, რათა შეიმუშაონ ზომები კაზაკთა და ჩეჩენთ შორის ურთიერთობის გასაუმჯობესებლად.

პეტერბურგი, 18 იანვარი. სახელ. საბჭომ განიხილა დროებითი კანონები საზოგადოებებისა და კავშირების წესებზე, საბჭოს წევრთა უმეტესობამ მოიწონა გამოცხადებიათ წესრიგი გახსნისა და ითხოვდა, რომ საზოგადოების დახურვა სამართლის ძალით მოხდეს. საბოლოო დადგენილება ჯერ არ მომხდარა.

ვარშავა, 18 იანვარი. სამხედრო წესების მე-12 მუხ. ძალით დახვრიტეს 5 ებრაელი ანარქისტი.

ქუთაისი, 18 იანვარი. მოვიდა გენ. ალიხანოვი ჯარით.

ბენდერი, 18 იანვარი. ბენდერის მაზრის სოფ. სწეიში გლეხების მოძრაობაა. სჩეხავენ ტყეებს.

პეტერბურგი, 18 იანვარი. გენ. ლინევიჩი დეპეშით ატყობინებს გრაფ ვიტტეს 19 იანვრის თარიღით დოშაგოუდან: „გენ. არტამანოვი იუწყება ვლადივოსტოკიდან, რომ საერთო მდგომარეობა წყნარია, თუმცა მღელვარება ისევ არის. არეულობის ყველა მონაწილენი ინანიებენ და მორჩილებას აცხადებენ ხელმწიფისადმი, მზად არიან მტკიცედ იდგნენ და პატიოსნად შეასრულონ თავიანთი ვალი. გამოძიება სწარმოებს. 16 იანვარს ვლადივოსტოკიდან მოსული გემი „სილვია“ ნაზიმოვის კონცხთან წააწყდა ნაღმს, და იძულებული შეიქნა უკან ვლადივოსტოკში დაბრუნებულიყო და ხალხი კუნძულზე გადმოესხა ნოვოსილსკის კონცხთან. ავარიის დროს წყალში გადამხტართაგანი დაიხრჩო ათამდე კაცი, დაიჭრა შვიდამდე. დღეს მოდის ვლადივოსტოკს გენ. მიშჩენკო“. (ოფიციალური)

რიგა, 18 იანვარი. დღეს დილის 7 საათზე დვინას გაღმა მეამბოხენი დაეცნენ ხუთს გოროდოვოის, რომელთაგან ორი მძიმედ დასჭრეს და ერთი მსუბუქად. გოროდოვოებმაც დასჭრეს რამდენიმე თავდამსხმელნი, რომელნიც მიიმალნენ. საღამოს მძიმედ დასჭრეს უანის ზედამხედველი. პოლიცმეისტერი გერტიგი სამსახურს თავს ანებებს.

მიტავა, 19 იანვარი. კურლიანდიის გუბერნიის ყველა 225 ვოლოსტში წესიერება აღადგინეს.

ნიკოლსკი. სათადარიგო ჯარის კაცები აღელვებული არიან, სამაზრო საერობო სამმართველოსა და საერობო უფროსების წინააღმდეგ, რადგანაც დახმარებას უკანონოდ და მაღგომით ანაწილებენ. საერობო სამმართველოს დარაჯები იცავენ. არეით სავაჭრო დაიხურა.

ბათუმი, 19 იანვარი. კომენდანტის ბრძანებით დაარსდა დროებითი სამხედრო სასამართლო. აჭარაში სიმშვიდეა.

ახალაბადი, 19 იანვარი. შინაგან საქმეთა მინისტრმა ვერ დაინახა საჭიროდ რუსეთ-სპარსეთის საზღვრის დახურვა, რადგანაც საზღვრის ახლოს ჟამი არაა და მოშორებითაა, სეისტანიც სადაც ჟამი მძვინვარებს.

ვასილკოვი. გუბერნატორმა აკრძალა ყველა ჟურნალ-გაზეთების ნომრობით გაყიდვა.

პეტერბურგი. ის კომისია, რომელსაც, სოლსკის თავმჯდომარეობით უნდა განერკვია საკითხი აგრარ მოძრაობით დაზარალებულ მემამულეების დაჯილდოვების შესახებ, მომავალ კვირას შეუდგება მუშაობას.

პეტროკოვი, 19 იანვარი. გუშინ საღამოს 9 საათზე, ჩენსტოხოვში მოჰკლეს ჟანდარმთა ვახმისტრი კოვალიოვი, მძიმედ დასჭრეს უფროსი დარაჯი შავეცი, რომელიც იარაღს ეძებდა გლეხების სადგომებში.

ვლადივოსტოკი, 17 იანვარი. რამდენიმე ათასი კაცი დაესწრო გუშინ იმ 22 სალდათის გასვენებას, რომელნიც არეულობის დროს მოჰკლეს. პროცესიას წინ წითელი დროშა მიუძღოდა, წესიერება არ დარღვეულა. დღეს დამარხეს მოკლული კომენდანტი ციხისა პოლკ. სურგუჩოვი. ქალაქის სამმართველო შუამდგომლობს სრულს ამნისტიის შესახებ ყველა იმ სამხედრო პირთათვის, რომელნიც ვლადივოსტოკის არეულობაში მონაწილეობდნენ 1905წ 30 ოქტომბრიდან 1906 15 იანვრამდე. ციხის კომენდანტად დაინიშნა გენ. არტამონოვი.

სიზრანი, 19 იანვარი. შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით დაიხურა საზოგადოებრივ უშიშროების კომიტეტი, რომელიც საერობო სამმართველოსთან იყო დაარსებული.

სარატოვი, 19 იანვარი. „გუბერნ. ვედომოსტ“-ებში დასტამბულია გუბერნატორის მოწოდება სოფლის მოხელეებისადმი, რომელშიაც იგი აფრთხილებს რევოლიუციონურ პროპაგანდისა და დამფუძნებელ კრების შესახებ. უკანასკნელი, გუბერნატორის აზრით, მეფის სასახლისთვის ძირის გამოთხრაა და ამიტომ იგი ურჩევს გლეხებს, მოემზადონ სახელმწიფო სათათბიროში არჩევნებისათვის და ხელი აიღონ ძარცვა-გლეჯაზე, თორემ მიღებულ იქნება უკიდურესი ზომები.

ბერდიჩევი, 19 იანვარი. მიუხედავად გაძლიერებულ დაცვისა ძარცვა და რევოლიუციონური მოქმედება არ სწყდება.

პეტერბურგი, 19 იანვარი. კონსტიტუციონურ რეფორმების ახლად დაარსებული პარტია იწყებს პეტერბურგში დიდის პოლიტიკურის ორგანოს გამოცემას, რომლის უახლოესი ხელმძღვანელნი იქნებიან პროფესორი ივანიუკოვი, მაქსიმ კოვალევსკი და არსენიევი.

ამხანაგობა „პროსვეშჩენიე“-ს სტამბაში, 19 იანვარს, ღამით, წაიღეს 11,025 ცალი ჟურნალ „სიგნალ“-ის 18 იანვრის ნომრისა, რამდენიმე ასი გაფუჭებული ცალი და დაბეჭდილი ამ ჟურნალის სტერეოტიპები.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

19 იანვარი

პეტერბურგი. „ნოვოსტ“-ს გაუგონია, რომ მართებულ წრეებში საბოლოოდ გარდაწყდა საკითხი შინაგან სესხის გამოცემის შესახებ და ამასთანავე პროექტს ადგენენ გამოაქვეყნონ სხვა ძირითად კანონების გამოქვეყნებასთან ერთად თავად-აზნაურთა წინამძღოლების უკანასკნელ კრების წარმომადგენლის შუამდგომლობას არ თანაუგრძნო გრ. ვიტტემ.

„ნოვოე ვრემია“ იუწყება, რომ იმ პროექტის მუხლები, რომელნიც შეეხებიან მოხელეების უფლებას საზოგადოების გახსნასა და პოლიტიკურ პარტიებისა და კავშირების დაარსებაზე, ხელ ახლა იქნებიან განხილული.

„სლოვო“ უწყებს სარწმუნო წყაროებიდან, რომ ამ დღეებში გადაწყდა ყველა საკითხები 17 ოქტომბრის თავისუფლების ცხოვრებაში გატარებაზე დასრულებულია და ამ დღეებში დაუყოვნებლივ იქნება გამოქვეყნებული. „ნაროდ. ხოზიაისტვო“ იუწყება, ხმებია ვითომც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან არსდება საგანგებო კანცელარია, რომელსაც, სხვათა შორის, ჩაბარდება უმაღლესი პოლიტიკური პოლიცია. განზრახულია ამ კანცელარიაში მოათავსონ ყველა ცნობები არჩევნების შესახებ და აგრეთვე იმათი ვინაობაც და პოლიტიკური რწმენა, ვისაც არჩევა შესაძლებელია სათათბიროსა და სახელ საბჭოში. ამ ახალ კანცელარიის სათავეში იქნება დანიშნული დმიტრიევ მამონოვი.

ლიბავა. 17 იანვარს დაატუსაღეს მთავარი აგიტატორი გრობინის მაზრისა შატრაუსი, რომელიც გემით აპირებდა წასვლას. გუშინ ჩამოახრჩეს იგი და მასთან ერთად დახვრიტეს 12 გლეხი რევოლიუციონერი.

ყაზანი, 19 იანვარი. ალფიუზოვის ქარხნების მთავარი სამმართველო აცნობებს ყაზანის კანტორას, რადგანაც მაზუთის ყიდვა გასჭირდა და ნაწარმოები აღარ იყიდება, ამიტომ 30 მარტს იხურება ქარხნებით. ამგვარად ეს ათასი მოსამსახურე უადგილოდ რჩება.

მიტავა, 19 იანვარი. ტუკუმში ბევრს უნახეს დახოცილ დრაგუნების ვინტოვკები და ხმლები. გამოირკვა, რომ ჯარს ქალებიც ესროდნენ. ლატიშთა კრების სახლი, რომლიდანაც ჯარს ესროდნენ, წაართვეს და ყაზარმად გარდააქციეს.

სიმფეროპოლი. ოფიციალურად გამოცხადდა, რომ „პოტემკინ“-ის აჯანყების საქმეს 24 იანვარს გაარჩევენ. სამართალში მიცემული ორი აფიცერი და დანარჩენი მატროსები. მოქალაქობრივი დაცვა უკუაგდეს.

20 იანვარი

პეტერბურგი. პროფესორთა კრებამ შემდეგი მუხლები შეიტანა უნივერსიტეტის წესდებაში: 1. უნივერსიტეტის სტუდენტებად და თავისუფალ ყურის მგდებლებად მიიღებიან ორივე სქესის პირნი, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა; 2. მიიღებენ სტუდენტებად იმათ, ვისაც საშუალო სასწავლებლები გაუთავებიათ ანა და აქვთ შესაფერი მოწმობა; 3. ფაკულტეტები სწყვეტენ, რამდენი უნდა იყოს მსმენელთა კომპლექტი და აგრეთვე მაქსიმალური ჯგდა თვითეულ ფაკულტეტზე უფონისთვის; 4. სტუდენტების მიღება შეიძლება ორჯერ წელიწადში, თვითეულ სემესტრის დასაწყისში; სტუდენტად ჩარიცხული ჩაეწერება ერთსა ან ორს ფაკულტეტზე; 5. სტუდენტებს ნება აქვთ გადავიდნენ ერთი უნივერსიტეტიდან მეორეში იმავე ფაკულტეტზე; 6. სწავლის ფასი 40 მან. თვითეულ სემესტრში; 7. სწავლის ფულიდან განთავისუფლება შეიძლება ყველა მოსწავლეების 25%; იმავენივე განთავისუფლება შეიძლება ნახევარი ფასიდან; 8. სტუდენტების და თავისუფალ ყურის მგდებელთა კრებები საბჭოს ნებართვით შეიძლება.

იურიევი. მოვიდა ქვეითების რაზმი ზარბაზნებით და ტყვიის მტყორცნელებით ღამით გარს შემოერტყნენ უნივერსიტეტს და გაჩხრიკეს ყველაფერი. დაატუსაღეს პრივატ-დოცენტი და 4 სტუდენტი.

ვენა. გაზეთებში გამოქვეყნებულია ცნობა ბელგრადის ქუჩებში შფოთიან დემონსტრაციების მოხდენის შესახებ. ეს დემონსტრაცია ავსტრიის წინააღმდეგ იყო გამართული. ხალხმა დაანგრია „სტამბა“-ს რედაქციის შენობა, ემუქრებოდა ავსტრიის საკონსულოს, რომელსაც ჯარი იცავდა და დემონსტრაცია გამართა სამეფო სასახლის წინ. „ნეიე-ფრეიე-პრესსე“-ს კორესპონდენტმა ძლივს უშველა თავს. ამბობენ სერბია ჩქარა შეინანებს და შუამდგომლობას აღძრავს მოლაპარაკების ხელახლა გამართვაზედ.

რიგა. გენ. ორლოვის სასტიკ მოქმედების წყალობით წესიერება აღდგენილ იქმნა. გლეხები ინანიებენ, აბრუნებენ დატაცებულ ქონებას და გადასახადი შეაქვთ.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ვ. ჯაბადარი**.

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 27 ამა იანვარს, შუადღის 12 საათზე, მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომლით გაიცემა კანალიზაციის გაკეთების საქმე შემდეგ პირობებით:

1) ისრამუკასა და ზახარიევსკი ვიწრო ქუჩაზე, 20 საჟ. ბეტონის მილი 0,375×0,28—სა., 38 საჟ. ბეტონის მილი 0,25×0,16—სა; სამი ჩასახედი ჭა

2) კოჯრისა და ბებუთოვის ქუჩა., 98 საჟ. ბეტონის მილი 0,25×0,16—სა; სამი ჩასახედი ჭა.

წერილობითი პირობები თითეულ ფასის ჩვენებით ზემოდ აღნიშნულს საქმეებზე უნდა წარუდგინონ მზრუნველებმა ქალაქის გამგეობას დახურულ კონვერტებში ამა წლის 27 იანვრისთვის.

ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა დაწვრილებითი პირობები უნდა გაიგონ გამგეობის აღმშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა, ნაშუადღევის 1-დან 3-მდე. საქმის №№ 412/90 წლ., 22/905 წლისა (2—6.—2)

კბილებს

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხველი. მიხეილის ქ. № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—23)

ახლად დაბეჭდილი

სამზარეულო

ფასი 1 მან. 50 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობაში, ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა ჰსურს, მიჰმართოს ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამხ. სტამბაში. (წლ.)

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი“

წელიწადი მეჩვიდმეტე

1906 წელსაც გამოვა თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა: პატარებისთვის და მოზრდილთათვის.

ჟურნალი დღეის იქით გამოვა უცენზუროთ და ეცდება დააკმაყოფილოს ახალი სკოლის მოთხოვნილება.

რედაქციასთან დაარსებული კომისია ყოველ ღონისძიებას ხმარობს ჟურნალის გასაუმჯობესებლად. რედაქცია შეძლებისა დაგვარად ხშირათ ჩაურთავს ჯეჯილის ნომრებში ფერადი წამლებით ნახატებს.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ღირს 4 მან. ტფილის გარეშე გაგზავნით 5 მან. ნახევარი წლით 3 მან. ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში—„წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор., № 101.) და თვით **ჯეჯილის** რედაქციაში (Артилер. ул. № 5- возлѣ Кадетскаго Корпуса.).

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „ДЖЕДЖИЛИ“.

(3—უ.—3) რედაქტორ-გამომცემელი ანასტასია წერეთლისა.

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

„ნაკადული“

წელიწადი მეორე. წელიწადი ითვლება იანვრიდან იანვრამდე.

პირველი ნომერი გამოვა 1 იანვარს.

რადგანაც ფოსტა-ტელეგრაფი არა მოქმედებს, მუდმივ სტამბების გაფიცვისა და არეულობის გამო იძულებული ვართ მეორე წლის პირველი ნომრები გამოვსცეთ იანვრიდან.

ხელის მოწერა მიიღება: რედაქციაში, „წ. კ. გ. საზოგადოების“ კანცელარიაში და მარიამ დემურიას სადგომში—ალექსანდროვის ქუჩა № 5.

რედაქცია იმყოფება ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილის სახლში № 8.

დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილები სუფთად და გარკვევით უნდა იყოს დაწერილი.

ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა წელიწადში 5 მან., ცალ-ცალკე სამ-სამი მან. ნახევარ წლით ერთად 2 მან. 50 კაპ., ცალ-ცალკე 1 მან. 50 კაპ., თვეში 50 კაპ. ცალ-ცალკე ნომერი „მცირე წლოვანთათვის“ 15 კაპ., მოზრდილთათვის 25 კაპ. წლიურ ხელის მომწერთ შეუძლიანთ თიში თითო მანეთი შემოიტანონ.

შარშანდელი მთელი წლის ნომრები იყიდება სამ მანათად

პირობებზე მოსალაპარაკებლად რედაქცია ღიაა დილის 9-დან ნაშუადღევის 2 საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакція „НАКАДУЛИ“.

რედაქტორი **მარიამ ივანეს ასული დემურიასი**.

გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი**

открыта подписка на 1906 годъ

на ежедневную политическую литературную и экономическую газету

„НОВОСТИ“

(Подъ редакціей О. К. НОТОВИЧА)

вмѣстѣ съ ЕЖЕНЕДѢЛЬНЫМЪ иллюстрирован., художест. и литератур. журналомъ

„Петербургская жизнь“

заключающимъ въ себѣ, кромѣ литературно-художественныхъ отдѣловъ:

Медико-гигіеническое обозрѣніе

(*Эскулапъ*)

ТЕХНИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ.

(Новѣйшія открытія и изобрѣтен., успѣхи пром. и торг. въ связи съ успѣхами наукъ, просвѣщ. и техники)

Новѣйшія моды и спортъ

и Естественно-научное обозрѣніе

(„Природа и хозяйство“: естеств. науки, сельское хозяйство, садоводство и т. д.) Обширный матеріалъ по гигіенѣ и медицинѣ, домоводству, сельскому хозяйству, техникѣ и вообще, для цѣлей самообразованія.

Съ цѣлью сдѣлать 1-е (большое) изданіе „НОВОСТЕЙ“ доступнымъ для болѣе широкихъ круговъ читателей

цѣна этого изданія

ПОНИЖЕНА на 5 руб.—съ 17 руб. до 12 руб.

для городскихъ и иногородныхъ подписчиковъ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА

I-го (большаго) изданія

ДЛЯ ГОРОДСКИХЪ И ИНОГОРОДСКИХЪ:

На годъ	11 мѣс.	10 мѣс.	9 мѣс.	8 мѣс.	7 мѣс.
р. к.	р. к.	р. к.	р. к.	р. к.	р. к.
12 —	11 25	10 75	10 —	9 —	8 —
6 мѣс.	5 мѣс.	4 мѣс.	3 мѣс.	2 мѣс.	1 мѣс.
р. к.	р. к.	р. к.	р. к.	р. к.	р. к.
7 —	6 —	5 —	4 —	2 70	1 40

ЗА ГРАНИЦУ:

На годъ	11 мѣс.	10 мѣс.	9 мѣс.	8 мѣс.	7 мѣс.
р. к.	р. к.	р. к.	р. к.	р. к.	р. к.
20 —	19 —	18 —	17 —	15 —	13 —
6 мѣс.	5 мѣс.	4 мѣс.	3 мѣс.	2 мѣс.	1 мѣс.
р. к.	р. к.	р. к.	р. к.	р. к.	р. к.
11 —	10 —	8 —	6 —	4 —	2 —

II-го (малаго) изданія

ДЛЯ ГОРОДСКИХЪ ПОДПИСЧИКОВЪ

На годъ	6 мѣс.	3 мѣс.	1 мѣс.
р. к.	р. к.	р. к.	р. к.
6. —	3 —	1 50	— 60

ДЛЯ ИНОГОРОДНИХЪ ПОДПИСЧИКОВЪ

На годъ	6 мѣс.	3 мѣс.	1 мѣс.
р. к.	р. к.	р. к.	р. к.
7 —	3 50	1 75	— 60

Подписка принимается только 1-го числа каждаго мѣсяца.

Подписка на 1 годъ считается только съ 1-го января по по 1-е января.

РАЗРОЧКА допускается только на 1-е изданіе съ перваго января на годъ; при подпискѣ—4, руб., въ мартѣ—4 руб. и въ іюлѣ 4 р при подпискѣ на время менѣе года разрочка не допускается.

Отдѣльная подписная цѣна журнала „ПЕТЕРБУРГСКАЯ ЖИЗНЬ“:

безъ доставки и пересылки: на 1 годъ—5 руб., на 6 мѣс.—3 руб., на 3 мѣс.—1 руб. 75 коп. Съ доставкою и пересылкою: на 1 годъ—6 руб., на 6 мѣс.—3 руб., на 2 мѣс. 1 руб.

Подписныя деньги прилагаются, по возможности, почтовыми переводами, по адресу: Главной контор газ. „НОВОСТИ“ Спб., Кирочная 24.

Городская контора газ. „НОВОСТИ“. Спб., Невскій пр., 30. Телефонъ 787.

Редакторъ *О. К. Нотовичъ* Издатель *Ю. Б. Бакъ* (3—3)

სწრაფმბეჭდავი წიგნების გამომც. ქართვ. ამხ.-სა. ვანქის დიდი ქუჩ. ტელეფონი № 372.